



პეიტუ დუჰვიდისი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა
მიუწერე: ამას იტყჳს წმიდაჲ და ჭეშმარიტი,
რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი
განაღებს, და არავინ დაჰკჳს, გარნა განმღებე-
ლმან მან, და არავინ განაღოს დაჰშული იგი.“

(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

კლიტე დავითისი
მარტი, 2022 წელი

ნომერშია:

- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2022 წლის საშობაო ეპისტოლეს შესაცნობად
- პატრიარქის ლოცვა სინას მთაზე
- ჯაბა სამუშია - სამი საუკუნის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე ბრუნდება
- პოლონელი პროფესორი სტუმრად თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში

საღვთისმეტყველო წერილები

- ირაკლი ორჟონია - ბერძნული ართრონის (არტიკლის) საღვთისმეტყველო მნიშვნელობის შესახებ

ხმა ერიდან

- ვანო ჩხიკვაძე - პატრიარქის ხელი . ლექსები - „საქართველო აღსდგა“ „ზარები“ „2014, 4 იანვარი“

თვალსაწიერი

- „ძე ქუხილისა“
- ნეკროლოგები



„ენაი ჩემი საწერელ მწიგნობარისა ხელოვანისა“

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2022 წლის საშობაო ეპისტოლეს შესაცნობად

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, როგორც ყოველთვის, ღრმა თეოლოგიური ასპექტების წარმოჩინებითა და არსებული, ყოფითი რეალობის ანალიზით გამოირჩევა. უწმინდესი ეპისტოლის პირველ ნაწილში ქრისტეს შობის უდიადეს მნიშვნელობაზე საუბრობს: „მანამდე ღმერთი კაცობრივად არ მოვლენილა. მსგავსი რამ სამყაროში არასოდეს მომხდარა და არც მოხდება“ - ბრძანებს ის.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი იმოწმებს ქრისტეს შობასთან დაკავშირებულ, პატრიარქ იაკობის სიტყვებს შესაბამისი ეგზეგეზით, სადაც იესო ქრისტეს დაბადების პერიოდსა და მასთან დაკავშირებული ვარსკლავის გამოჩენაზე არის საუბარი: „გაცხადდა იაკობ მამამთავრის წინასწარმეტყველება: „წაერთმევა კვერთხი იუდას... ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“ (დაბ. 49, 10). რაც გულისხმობდა იმას, რომ, როდესაც ისრაელს აღარ ეყოლებოდა კანონიერი მეფე იუდას ტომიდან, მაშინ მოევლინებოდათ ზეციური მეუფე. მართლაც, რომის იმპერიაში, მის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იუდეაში, პირველი წარმართი და უცხოტომელი მეფის, იდუმიელი ჰეროდეს მმართველობის ჟამს უცნაურმა ვარსკვლავმა და ანგელოზთა დასმა სამყაროს ამცნო იესოს შობა“.

უწმინდესი და უნეტარესი ბიბლიური სწავლების კვალდაკვალ აღნიშნავს, რომ ძველი აღთქმის პერიოდის კაცობრიობის ნაწილი უფალს განუდგა, ნაწილი კი, გულმოდგინედ აღასრულებდა ღვთის მიერ მოსე წინასწარმეტყველისთვის მიცემულ რჯულს და მესიას ელოდებოდა: „სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველისთვის მიცემული უფლის მცნებები ისრაელიანთა ღირსეულმა მოღვაწეებმა დაიცვეს და მოამზადეს კაცობრიობა მაცხოვრის განკაცებისთვის“.

ეპისტოლეს მომდევნო ნაწილში მოხმობილია სახარებისეული სწავლება, სადაც, ერთი მხრივ, წარმოჩენილია მაცხოვრის მიერ ადამიანის მასთან მოწოდება, მეორე მხრივ, ღვთისა და ადამიანური ნების სინერგიის მნიშვნელობა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ“ (მთ. 11.28);

„მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება“ (ინ. 6.35);

„მე ვარ კარი ცხოვართა, ვინც შედის ჩემით, გადარჩება“ (ინ. 8,12);

„მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები, ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ განიგდება“ (ინ.15,5-6);

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (ინ. 14,8).

„რას გულისხმობს, უფრო სწორად, რისკენ მოგვიწოდებს ეს სიტყვები? - სინერგიისაკენ, - ღვთაებრივი და ადამიანური ნების შეერთებისა და შერწყმისაკენ. ანუ იმისკენ, რაც უნდა იყოს ერთადერთი მთავარი აზრი და მიზანი ჩვენი ცხოვრებისა; ყველაფერი სხვა კი, მასთან შედარებით, ამაოებაა. ჩვენში რომ მოხდეს სინერგია, აუცილებელია, შევძლოთ საკუთარი თავისა და ღმერთის, ჩვენი შესაძლებლობისამებრ, შეცნობა“ - ბრძანებს პატრიარქი.

უწმინდესის მიერ ზემოდამოწმებული სიტყვების არსი ქრისტიანის უმთავრეს საკეთებელს გამოხატავს. საეკლესიო მოძღვრების თანახმად, ადამიანის ცხოვნება ცალსახად არის დაკავშირებული, თუ რამდენად იქნება ის ღვთის ნების აღმსრულებელი.

ეპისტოლეს შემდეგ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ცივილიზაციის ორ დიდ გამოვლინებაზე: ინტერნეტსა და ტექნოლოგიაზე. საქართველოს ეკლესიის მამამთავარი ჩვეული სიბრძნით აღნიშნავს, რომ ინტერნეტიზაციამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ საკმაო პროგრესს მიაღწია, მაგრამ დაზიანდა კაცობრიობას მთავარი ღირებულება - ადამიანი და მისი ღმერთთან კავშირი: „ყველაზე მთავარი აქცენტი ყველას მიერ გადატანილი უნდა იქნეს ადამიანზე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს იმ ღირებულებებმა, რაც მას შემოქმედთან დაახლოებს.“

წარმოდგენილი სიტყვები კარგად ასახავს თანამედროვე ყოფის პრობლემას. ინტერნეტი და ტექნოლოგიები ხშირად ავიწყებს ადამიანებს მის უმთავრეს დანიშნულებას - ღმერთთან ურთიერთობას. მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც, ნებისთი თუ უნებლიეთ, ადამიანი ღმერთს „ტექნოლოგიური მიღწევებით“ ანაცვლებს და მას ავიწყდება, რომ ის გონება, რომელმაც ეს „მიღწევები“ შექმნა, ადამიანს ღმერთმა მისცა.

ღმერთთან მარადიულად ყოფნის წინაპირობა ქრისტიანული ცხოვრებაა, რაშიც უფლისმიერი მცნებების დაცვა და სხვისთვის ცხოვრება მოიაზრება. აი, რას ბრძანებს ამის შესახებ პატრიარქი: „აირჩიე სიცოცხლე“, - მოგვიწოდებს მოციქული. მორწმუნეთათვის ეს ნიშნავს მცნებების დაცვით უფლის მიმსგავსებას, მაღალზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ნიშნავს ღვთის სადიდებლად სხვისთვის ცხოვრებას, რათა შემდეგ ცათა სასუფეველის მკვიდრნი გავხდეთ და მარადიულად ღმერთთან ვმყოფობდეთ“.

პატრიარქი თავის ეპისტოლეში ყურადღებას ამახვილებს ათეისტების აზროვნებაზე. მისი თქმით, ათეისტებს არ სჯერათ არამატერიალური სამყაროს არსებობის, რადგან, მათი აზრით, მხოლოდ ის უნდა დაიჯერო, რასაც ხედავ. შესაბამისად, მათ არც სულის უკვდავების და არც სამერმისო ცხოვრების რწმენა აქვთ. „ამასთან - ბრძანებს უწმინდესი - „მიიჩნევენ რა, რომ გარდაცვალებით ყველაფერი მთავრდება, ამქვეყნიური კეთილდღეობის ნებისმიერი საშუალებით მიღწევას, ხშირ შემთხვევაში, არ ერიდებიან“.

ეპისტოლეს წარმოდგენილი ნაწილი ლოგიკურად აგრძელებს ზემოგანხილული, ტექნოლოგიური მიღწევებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების თემას. ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე დამოკიდებულება ადამიანს ათეისტად ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს, რადგან იგი

მხოლოდ ნივთიერს ეყრდნობა და მხოლოდ მატერიალურის სჯერა. სწამს მხოლოდ იმისა, რასაც ხედავს და ეხება. შესაბამისად, იგი აღარ ფიქრობს უხილავსა და უნივთოზე - ღმერთზე. პატრიარქი შეგვაგონებს და გვახსენებს თავის სამწყსოს, რომ ზემოგადმოცემული მდგომარეობის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენივე ბედნიერების ერთადერთი წყარო - ღმერთი.

საქართველოს ეკლესიის მეთაური ყურადღებას ამახვილებს ყოფით პრობლემებზე, რაც უკავშირდება სილატაკეს, უმუშევრობას, დევნილთა პრობლემებს, ტერიტორიულ მთლიანობას. „წამოიჭრება სხვა კითხვებიც,“ - ბრძანებს ის - „რომლებიც მუდამ აწუხებდა კაცობრიობას: რატომ დავიბადეთ? რატომ ვკვდებით? ვინ მოგვცა სიცოცხლე? რა არის იგი? რისთვის ვართ მოწოდებულნი?...“

პატრიარქის თქმით, ამ საკითხებზე ფიქრი აუცილებელია, თუმცა წარმოდგენილ ეპისტოლეში უმთავრესი ყურადღება სულიერი საკითხების მნიშვნელობაზე გამახვილდება.

კათალიკოს-პატრიარქი ეპისტოლეს შემდეგ ნაწილში წმინდა წერილის იმ სიტყვებს დაიმოწმებს, რომელნიც ადამიანის ღმერთთან დაახლოებაზე მოგვითხრობენ. შესაბამისად, უწმინდესი პატრიარქი აღნიშნავს, რომ „ღმერთთან მისაახლებლად, მხოლოდ განსწავლულობა და მეცნიერული პროგრესი ვერ დაგვეხმარება; აუცილებელია სულიერი სიწმინდის მოპოვება, რადგან „ღმერთი სულია და მის თაყვანისმცემლებს მართებთ სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა“ (ინ. 4,24).

ეპისტოლეს წარმოდგენილი ნაწილი უაღრესად საყურადღებოა, რადგან თანამედროვე მეცნიერებაში ხშირად ვხვდებით სხვადასხვა დარგის მკვლევართა თუ სწავლულთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სწორად ცხოვრებისთვის საკმარისია მათი მეცნიერული მოღვაწეობა და განსწავლულობა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად კი, რასაც უწმინდესი ახმოვანებს, მართებული ცხოვრებისთვის ღმერთთან მიახლებაა აუცილებელი. ამისთვის საჭიროა ადამიანის სულიერი განწმედა, რაც უშალოდ არის დაკავშირებული ეკლესიურ ცხოვრებასთან. პატრიარქის მიერ მოხმობილ სახარებისეულ სიტყვებში, რომლითაც იესო ქრისტე სამართელ დედაკაცს მიმართავს, კარგად არის ნაჩვენები თუ რას ნიშნავს ღვთის ჭეშმარიტი თაყვანისცემა - ღმერთი სულია და მისი თაყვანისცემა სულით (არა სხვა სახით) უნდა აღვასრულოთ.

ეპისტოლეს მომდევნო ნაწილში პატრიარქი მაკარი მეგვიპტიელის სწავლების კვალდაკვალ ადამიანის სულის თვისებებზე საუბრობს და ჩამოთვლის მათ: „სულის თვისებაა, მაგალითად: განსჯა, ნებელობა, სიყვარული, შემოქმედებითი უნარი; სირცხვილის, მორიდების, თავმდაბლობის გრძნობა; სიმათლისმოყვარეობა, მოწყალება, სინანული, სიბრალული, სიხარული... ისინი ღვთივბოძებული ნიჭებია, რომლებიც ჩვენს შინაგან ადამიანს ქმნის.“ უწმინდესი პატრიარქი იქვე შენიშნავს, რომ ღმერთთან დაშორებული ადამიანის სულის თვისება მასში გაბატონებული ცოდვებია.

ეპისტოლეში ყურადღება გამახვილებულია გულისა და გონების ურთიერთმიმართებაზე. იგი ბრძანებს: „გონებისაგან მომდინარეობს აზროვნებისა და განსჯის შესაძლებლობა, გულში კი მგრძნობელობითობა ვლინდება. თუმცა, რასაც ადამიანი გრძნობს გულით, იგი გონებასაც მოიცავს. და ამ დროს უნდა მოხდეს უმნიშვნელოვანესი რამ: გონებისა და გულის გაერთიანება, „გონების ჩასვლა გულში“ და გონების მიერ მისი წარმართვა. ასეთი გული არის გული გონიერი“.

როგორც ბიბლიიდან ვიცით, ღმერთმა სოლომონს აღუთქვა და მისცა „გული გონიერი“ (III მეფეთა 3:12). პატრიარქი, საეკლესიო მოძღვრებისა და ეგზეგეზას მიხედვით, ბრძანებს, რომ გონება მოიცავს აზროვნებას, ხოლო გული - მგრძნობელობას, ხოლო მათი განწმედა ქმნის ქრისტიანის ცხოვრებას: „გონება ადვილად იმღვრება, მაგრამ მალევე იწმინდება ღოცვით, წმინდა წერილის, წმინდათა ცხოვრებისა და მათი დარიგებების კითხვით. გულის სიწმინდის მოპოვებას კი ხანგრძლივი სულიერი შრომა სჭირდება“.

ეპისტოლეს ეს ნაწილი მეტად საყურადღებოა, რადგან ხშირია შემთხვევა, როცა მორწმუნე ადამიანს საკუთარ თავზე შრომა ეზარება, რის გარეშეც შეუძლებელია გულის განწმედა და, ზოგადად, ქრისტიანული ცხოვრება.

ეპისტოლეს შემდეგ ნაწილში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის პატრიარქი საუბრობს უშუალოდ ქრისტეს შობაზე და ამბობს, რომ ყოველი ადამიანის დაბადებას ქრისტეს დაბადებით მიეცა აზრი: „ამ დღიდან ყოველ ადამიანს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მიეცა შესაძლებლობა, თავისი დაბადების დღე უკვდავყოს და იესოს ამქვეყნად შობა აქციოს ცათა სასუფეველში, მარადიულ ნეტარებაში, თავისი შობის განმსაზღვრელად“.

ადამიანის ცხოვრებაში უამრავი განსაცდელია. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაური გვირჩევეს, რომ ყველაფერი მოთმინებითა და ჩვენს გამოსაცდელად მივიღოთ. მივიღოთ, როგორც მწარე, მაგრამ კურნების მომნიჭებელი წამალი. განსაცდელის ხანგრძლივობა ჩვენსავე ქცევაზეა დამოკიდებული: „თუმცა მისი (განსაცდელის) ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თქვენი გული და გონება როგორ უპასუხებს ასეთ გამოწვევებს“.

წარმოდგენილი სიტყვები დიდი ნუგეშია განსაძლელში მყოფი ყოველი ადამიანისთვის. ქრისტიანული სწავლების თანახმად, რომელსაც პატრიარქი წარმოაჩენს, ადამიანის განსაცდელის დასრულება თავად მასზეა დამოკიდებული. თუ კი კაცი განსაცდელს ღვთისგან მოვლენილად მიიღებს, თავად უფალი ეხმარება მას ამ განსაცდელის ტვირთვასა და მის დასრულებაშიც.

დღესდღეობით მძიმე განსაცდელს წარმოადგენს პანდემია. უწმინდესი თავის სამწყოს მოძღვრავს, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდეს. ხოლო ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში არ უნდა დაგვარგოთ რწმენა იმისა, რომ სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. „მთავარია, სულიერი სიკვდილის, მარადიული ტანჯვის მსხვერპლნი არ გავხდეთ.“ - დასძენს ერის მამა.

უწმინდესი პატრიარქი ახმოვანებს საეკლესიო მოძღვრებას იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უნდა ემინოდეს ადამიანს - წარწყმედის. ქრისტიანს სხვა არავის და არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეს.

საქართველოს ეკლესიის პატრიარქის ეპისტოლეში ყურადღება გამახვილებულია ერთ-ერთ მძიმე პრობლემაზე - ადამიანების დიდი ნაწილი საკუთარ თავში არ ეძიებს და არ ებრძვის ცოდვებს და ნებისმიერი უარყოფითი მოვლენის გამომწვევ მიზეზს სხვაში ხედავს, რისი შედეგიცაა განკითხვა. უწმინდესი, თავისი სიბრძნით, ეხება ამ პრობლემას და ქრისტიანული აზროვნების კვალდაკვალ მისი გადაჭრის გზებსაც დაგვანახებს: „ძნელია ასეთ დიდ სივრცეში იმოქმედო და შეცდომები არ დაუშვა. ჩვენი ეგოისტური „მე“ ხომ მუდმივად უძებნის გამართლებას ჩვენს ცოდვებს, არასწორ საქციელს... ამასთან, საკუთარ თავს ადვილად ვპატიობთ იმას, რაზეც სხვას მკაცრად ვთხოვთ პასუხს. ხშირად კი, საერთოდაც ვერ ვხედავთ ჩვენს ცოდვებს. უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის გარედან შეხედვა, ჩვენი ქმედებების სხვისი თვალით შეფასება და ობიექტური განსჯა“.

თანახმად ნათქვამისა, განკითხვის უმთავრესი მიზეზი თავის მართლებაა, რასაც ადამიანმა საკუთარ თავში ჩახედვა და ობიექტური განსჯა უნდა დაუპირისპიროს. მხოლოდ ასე დამარცხდება ჩვენს ცხოვრებაში ასე გავრცელებული ეგოიზმი.

პატრიარქი ეპისტოლეს ერთ-ერთ ნაწილში დროზე და მარადიულ ღირებულებებთან დაკავშირებით საუბრობს. მისი სიტყვების მიხედვით, დრო ბოროტების ქმნაში არ უნდა დაგვარგოთ, რადგან „დაკარგულ დროზე დასანანიც არაფერია, თუ იგი წარწყმედის მიზეზად გვექცევა (ჩვენ კი ხშირად სწორედ ფუჭად გატარებული დროით ვხარობთ)“.

განსაკუთრებით საინტერესოა ფრჩხილებში გადმოცემული სიტყვები. ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი ცოდვაში ატარებს დროს და ეს უხარია. ცოდვა, ზოგადად, გარეგნულ სიამოვნებასთანაა დაკავშირებული, რასაც სულის დაზიანება მოსდევს. შესაბამისად, სიხარული, რომელიც ცოდვის ჩადენას ახლავს, ხანმოკლეა. ადამიანი მალევე გრძნობს ბოროტებისგან მიყენებულ სულის ტკივილს.

უწმინდესი ეპისტოლეს ერთ-ერთ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ეხება. თანამედროვე ყოფაში ბევრი რამ, რაც ადრე ღირებულებას წარმოადგენდა, დღეს გაუფასურებულია. ამიტომ, ბრძენი პატრიარქი გვირჩევეს, რომ მხოლოდ ქრისტიანული,

მარადიული ღირებულებებით ვიცხოვროთ, რომელიც არ ექვემდებარება დროთა ცვალებადობას: „რაც გუშინ სამაგალითოდ ითვლებოდა, მას დღეს დასცინიან და რასაც დღეს აქებენ, ხვალ შეიძლება დაიწუნონ... ამიტომაც, ორიენტირად ღმერთი და მისი ღირებულებები აირჩიე, იგია მხოლოდ უცვალებელი, ზედროული და ჭეშმარიტი“.

საქართველოს ეკლესიის მამამთავარი ეპისტოლის დასკვნით ნაწილში ბრძანებს: „ მიემსგავსე ლოტს, რომელიც ყველაზე მძიმე გარემოში, სოდომში, ცხოვრობდა, მაგრამ უფლის მცნებას არ ღალატობდა. აირჩიე ნეტარი მარადიულობა!“.

პატრიარქის ეს სიტყვები წარმოაჩენს ქრისტიანულ სწავლებას, რომ მიუხედავად ცოდვით აღსავსე გარემოებებისა, ადამიანს მართებს, შეინარჩუნოს სიწმინდე, რადგან, საბოლოოდ, არა გარემოება, არამედ მისი ნება განსაზღვრავს, თუ როგორი ცხოვრება ექნება მას. ამასთან დაკავშირებით, წმინდა ეფრემ ასური ბრძანებს: „ადგილსამყოფელი კი არ აცხოვნებს ადამიანს, არამედ საკუთარი კეთილი ნება. ადამი, ჩვენი პირველშობელი, სამოთხეშიც დაეცა ცოდვით, მართალმა ლოტმა კი სოდომშიც შეინარჩუნა კეთილმსახურება“.

ეპისტოლეს დასასრულს უწმინდესი ლოცავს ყველა ქართველს, ჩვენს ქვეყანაში თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფთ.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე ერთი მხრივ, სიყვარულით აღსავსე, მეორე მხრივ - მამხილებელი შინაარსის მატარებელია. იგი ქრისტესკენ სავალი გზის შესახებ გვმოდგვრავს. მისი წაკითხვისას ადამიანი საკუთარ თავსა და ცოდვებს ხედავს, რაც საზოგადოების ღვთისკენ მიდრეკის წინაპირობაა. უფლისკენ ლტოლვა, კი, ადამიანს საღვთო მადლით აღავსებს, რაც არის კიდევ ქრისტეს დაბადების უმთავრესი არსი.

სიონის საკათედრო ტაძრის ღვთისმსახური და თბილისის სასულიერო
სემინარიის დეკანი, მღვდელი გიორგი ვაშალომიძე.



„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის“
ნიკოლოზ ბარათაშვილი

პატრიარქის ლოცვა სინას მთაზე

1984 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, სინას მთაზე ავიდა.

„ გაიხადე ფეხზე, რადგან ადგილი, რომელზეც დგახარ, წმინდაა, - მოესმა მოსეს უფლის ხმა, როდესაც მან უფლისაგან, ღმერთისაგან მიიღო ათი მცნება.

და აი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ფეხშიშველი შეუდგა კლდეში გამოკვეთილ ოთხიათას ნახევარმეტრიან საფეხურებს სინას მთისაკენ. და განთიადისას გამცილებელ ბერებთან ერთად წმინდა მთაზე ავიდა.

ეს იყო პირველი და ერთადერთი ფაქტი საქართველოს ოცდაერთსაუკუნოვანი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. მანამდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთაგან ფეხი არავის დაუდგამს სინას მთაზე, რომელიც მარადიული წმინდა ადგილია ქრისტიანთათვის.

„სულ წვერზე დგას წმინდა სამების სახელობის ტაძარი, ავედით, ღვთის შეწევნით, - იგონებს პატრიარქი. - რომ მივუახლოვდით იმ წმინდა ადგილს, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მთელი საქართველო ამოვიდა ჩემთან ერთად ამ წმინდა მთაზე და ლოცვად დადგა. მადლობა შევწირე უფალს ჩვენი ერის სახელით ყველაფრისათვის. იმისთვის, რომ მოგვცა ჩვენი ენა, ჩვენი რწმენა, რომ ჩვენ დღესაც ვარსებობთ, შევავედრე ჩვენი ეკლესია, მთელი ქართველი ერი, განსაკურებით კი ახალგაზრდობა, ჩვენი ბავშვები, მშობიარე დედები, ყველანი. ისეთი მადლი და ძალა, რომელიც იქ ვიგრძენი, არ განმიცდია არსად ჩემს ცხოვრებაში.“

და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სინას მთის წვერზე წარმოთქვა ეს ლოცვა:

“მამაო ჩვენო, - დიდება შენდა! ძეო ღმრთისაო, - დიდება შენდა! სულო წმიდაო, - დიდება შენდა! ყოვლადწმიდა სამებაო, ერთარსებაო, შემოქმედო და განმგებლო ორსავ სამყაროსაო, - დიდება შენდა!

ვითარ ვთქვა ქება მე უღირსმან და გლაზაკმან შემკობად შენდა; გონება ჩემი და გული ჩემი ვერ შემძლებელ არს გამოთქმად დიდებისა შენისა. გარნა გვედრი, მიითუალე იგი, ვითარცა

უმეცარი სიტყუა ყრმისა მშობლისა მიმართ. ზაგითა ჩემითა მით ცოდვილითა, ღმერთო ჩემო, შენ შეგლადადებს ერი ჩემი, შენს მიერ შეყვარებული.

უფალო ჩემო, შენ გიგალობენ სერაფიმნი და ქერუბიმნი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი, ურიცხვნი ძალნი ზეციური. მე რა ვთქვა, როგორ შეგასხა ქება? ან რა საქმენი გიჩვენო; ოდეს ღვაწლითა თვისითა განბრწყინდნენ წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, მოწამენი, მღვდელმთავარნი, ღირსნი მამანი და ყოველნი სხვანი წმიდანნი შენნი?

ვითარ სახელ გსდვა? არა უწყი. დამიდუმდა ენა ჩემი წინაშე დიდებისა შენისა. ვიცი ოდენ, რომ ჩვენთანა ხარ და არა განგვეშორები, რომ ხარ დაუსაბამო და უსასრულო სიყვარული, რომ თბილა შენთან და გარეშე შენსა არა არს ცხოვრება ჩვენი.

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანაი დიდებითა შენითა!

დიდებაი შენი, ვითარცა სიყვარული შენი, დაუტეველი შენში, ეფინება ყოველსა ქმნულსა შენსა. და ჩვენც მდაბალნი ზიარებულნი მადლსა შენსა დიდებისასა ვმადლდებით უფალო, ვიწმიდებით, მამაო ჩვენი.

მსგავსად წმიდისა მამისა ჩვენიას იოანე ოქროპირისა, მე, ცოდვილი მონა შენი, ილია II, ყოველთა ქართველთა სახელით ვხმობ: „დიდება და მადლობა შენდა ყოვლისათვის“, გადიდებ შენ, რომელი ყოველგან ხარ, რომელი ხარ ჩვენთან და რომლისა წიაღშიც ვართ ჩვენ,

გადიდებ შენ, რომელმან სავანედ თვისსა აღირჩიე გული ჩვენი და მუნითგან გვსწავლი და გვწვრთნი, ვითარცა ასწავებდი მოსეს და ელიას ქორების წმიდასა მთასა ზედა.

გადიდებთ შენ და გმადლობთ შენ, მოწყალეო, რამეთუ გვქმენ მსგავსად შენდა, რამეთუ მოგვანიჭე ენა ქართული და რწმენა ჭეშმარიტი, სიყვარული ღმრთისა და სიყვარული მოყვასისა, მოგვეფინენ ნათელი გონებისა და ჭეშმარიტებაი მეცნიერებისა!

გარნა რაი არს ჭეშმარიტი? ადამის მოდგმა დასაბამიდან ეძიებდა მას. ერნი მრავალნი, ჩვენზე ძლიერნი, მოსწყდნენ და აღიხოცნენ პირისაგან მიწისა მის ძიებაში. ჩვენზე მოიღე მოწყალეობა სახიერო და გამოგვიცხადე თავი შენი, და ოდეს კაცობრიობას მოუვლინე მე შენი საყვარელი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, შენის კურთხევით, შენის წყალობით ერმა ჩემმა ისმინა მისი, შეისისხლხორცა მცნებანი მისნი შენგნით ბოძებულნი, სიყვარულით იტვირთა უღელი მისი ტკბილი და ტვირთი მისი სუბუქი. ამისთვის გმადლობთ შენ, რამეთუ მომღვრავდი და მომღვრავ ხალხსა ჩემსა, ატარებ რა მას გზითა მით შენითა იწროითა, ვითარცა ატარებდი ერსა ისრაელისასა უდაბნოთა შინა.

გმადლობთ მამაო უფალო, რამეთუ გვრწამს და აღვიარებთ, სულსა წმიდასა შენგნით გამომავალსა, სულსა, რომელი ყოველგან არს და ყოველსავე ალავსებს მადლითა შენითა; რომელი არს უძლოურთა მკურნალი, დაცემულთა საყრდენი, ნაკლულევანთა სრულმოყველი. გმადლობთ შენ, წმიდაო სამებაო, აღმავსებელო ჩვენო ძალითა შენითაო.

და კვლავ გმადლობ შენ, ღმერთო ჩემო, იმ მრავალთა წყალობისათვის, რომელი გარდმოავლინე, თავსა ზედა ჩემსა, რომ მე დამადგინე მომღვრად ერისა შენისა ივერიისა. ხოლო დღეს მონა შენი ცოდვილი ღირს მყავ ხილვად წმიდისა მთისა ამისა და თაყვანისცემად დიდისა სიწმიდისა მისისა.

„ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ“, – ბრძანებს მაცხოვარი და იტყვის ესე: „რასაცა ითხოვდით მამისაგან სახელითა ჩემითა, მოგეცეს თქვენ“. მამაო სახიერო, გვედრები სახელითა მისა შენისათა, ნუ განეშორები ერსა ჩვენსა, შეცოდებათა გამო ჩვენთა; მოგვიძიენ, ვითარცა მამაი მოიძიებს ძესა თვისსა წარწყმედულსა; შეგვინდე ურწმუნოებაი, გულფიცხობაი, ამპარტავნებაი, შური და ვერცხლისმოყვარებაი, გეაჟებით, აღხოცენ ცოდვანი ჩვენნი და განკურნენ სულნი ჩვენნი ვნებულნი. მოგვმადლე, სარწმუნოებაი ჭეშმარიტი, სიყვარული უძლეველი, ძალი წყლისა და ძლიერებაი ცეცხლისა, აღგვავეს მადლითა ყოვლად წმიდისა სამებისა, სარწმუნოებასა და სიყვარულსა შინა შენსა, სულიერად განამტკიცე მთავრობა ჩვენი, გვაკურთხე მშვიდობითა, უფალო, მოგვეფინე სული სიწმიდისაი, თავმდაბლობისაი და მოთმინებისაი.

განამრავლენ შვილნი და შვილთა შვილნი ჩვენნი, გული წმიდაი დაბადე მათ შორის, სული წრფელი განუახლე გვამსა მათ შინა.

აკურთხე გვირგვინი ქორწინებულთა და სიყვარულითა განამტკიცე კავშირი მათი, ცოდვანი სიჭაბუკისა და უმეცრებისანი შეუნდე და ნათელ ჰყავ მომავალი მათი.

სრულასაკოვანთა მიჰმადლე გული ბრძენი და მოწყალე, გონება საღი, რათა გიცნან შენ და აღასრულონ ნებაი შენი.

მხცოვანთა წელნი აკურთხენ სიმშვიდითა. განამრავლენ მოდგმა მათი, ცხოვრება მათი სათნო ჰყავ, რათა უშფოთველად შეერთონ საუკუნეთა.

გვედრები, უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.

დალოცე ჩვენი მშრომელი ხალხი, ყოველი მამრალი და ტვირთმძიმე. ჩვენთა დიდთა წინაპართა რწმენა, სიყვარული და სიწმინდე მიანიჭე მათ.

ღმერთო, განამტკიცე და განაძლიერე ჩვენი წმიდა სამოციქულო ეკლესია და მღვდელმსახურნი მისნი, ყვენ იგინი ნათელ ერისა, აღადგინე ტაძარნი და მონასტერნი ჩვენნიდა შეგვკრიბე საფარველსა ქუეშე შენსა.

გარნა რა გთხოვო, უფალო, მათთვის, რომელნი უარგყოფენ შენ, რომელნი ვლენან გზასა ცთომილთასა? გეაჯები, შეიწყალენ იგინი, მოაქციე და მრევლსა შენსა შეუერთე: „რათა იყოს ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“.

მერმეცა გვედრები ღმერთო, რათა მოიხსენო სასუფეველსა შენსა სულნი ქართველთა მოღვაწეთა სინას მთისათა, გვედრები, რათა მოიხსენო მეფენი და დედოფალნი ჩვენნი, მამამთავარნი, კათოლიკოს-პატრიარქნი, სამღვდელო და სამონაზვნო წესით აღსრულებულნი, პატიოსანი შრომით დაღლილნი, აღმშენებელნი ტაძართა და მონასტერთა, ბრძოლის ველზე მოწყევტილნი და ყოველნი შვილნი შენნი ქართველნი. დალოცე სავანენი ზეციურისა საქართველოსა, შეუნდე შეცოდებულთა და იხსენ ტანჯვისაგან, მოჰფინე მათ ნათელი შენი და სიყვარული შენი.

მუხლმოდრეკილი აღვაგლენ ლოცვებს, უფალო, მშვიდობისათვის სოფლისა, რათა სუფევდეს ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება: მამაო წმიდაო, გეაჯები, შეისმინე ლოცვისა ჩემისაი და დაგვიფარე ჩვენ!

დასაბამო და მიზეზო ყოვლისაო, არსთაგამრიგო, სავსე დიდითა წყალობითა შენითა კვალად ვხმობ: „დიდება შენდა, უფალო, დიდება მენდა! დიდება შენდა შემოქმედო ჩვენო, მწყალობელო ჩვენო, დიდება შენდა! დიდება შენდა, ღმერთო ერისა ჩვენისაო, რომელმან დაწერე სახელნი ჩვენნი წიგნსა მას ცხოვრებისა კრავისასა!“

„მე ვარ ანი და ჰოე, - იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და, რომელი იყო და, რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხადება, 1,8); მოვედ ჩვენთანა, უფალო, და გვაცხოვნენ ჩვენ ღმერთო ჩვენო, ამინ!“



სამი საუკუნის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე ბრუნდება

წელს, ნათლისღების დღესასწაულზე, იორდანის მეფე აბდულა მეორისა და ტახტის მემკვიდრე პრინც ღაზის გადაწყვეტილებით, წმინდა მდინარე იორდანეს მიმდებარედ, იქ, სადაც იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელმა მონათლა, საქართველოს ოთხი ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი გადმოეცა.

წმინდა მიწა და ქართველები

2022 წლის იანვარში საქართველოს მთავრობის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ერთობლივი ძალისხმევით იორდანიაში, მაცხოვრის ნათლობის ადგილზე, მდინარე იორდანესთან, საქართველოს 4 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადაეცა. ეს მოვლენა ქართულმა საზოგადოებამ სრულიად სამართლიანად წმინდა მიწაზე ქართველთა დაბრუნებად მონათლა. გადაწყდა, რომ ამ ადგილას აშენდება ქართული კულტურის ცენტრი, რომელიც იმავდროულად სამეცნიერო ცენტრის ფუნქციასაც შეითავსებს. ქართველები საუკუნეების მანძილზე ფლობდნენ წმინდა მიწაზე მონასტრებსა და სხვადასხვა სახის ქონებას, მათ შორის მიწის ნაკვეთებს. იერუსალიმსა და მის შემოგარენში ქართველებს ჰქონდათ 20 მონასტერი, 3 ეკლესია და 7 სამლოცველო. განსაკუთრებით ცნობილი იყო ბეთლემის, საბაწმინდის, ჯვრის, გოლგოთა-უფლის საფლავის მონასტრები. დღეისათვის, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს დაკარგულია.

იერუსალიმისა და სხვა წმინდა ადგილების მოლოცვის ტრადიცია საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისთანავე მკვიდრდება. ტიმოთე გაბაშვილს, რომელმაც XVIII საუკუნეში პალესტინაში იმოგზაურა, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში უნახავს ხელნაწერი, სადაც მოთხრობილი ყოფილა მეფე მირიანის წმინდა ქალაქში ჩასვლისა და იმპერატორისგან მონასტრის ასაშენებელი ადგილის ბოძების ისტორია.

არსებული ცნობებით, წმინდა მიწაზე მოღვაწეობდა უფლისწული ბაკური. V საუკუნის 30-იანი წლებიდან კი იერუსალიმში მასშტაბურ აღმშენებლობას იწყებს პეტრე იბერი. მან იერუსალიმსა და მის შემოგარენში რამდენიმე ქართული სავანე დააარსა. მანვე იერუსალიმში „აღაშენა ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო“, საქართველოდან ჩამოსულ მომლოცველთათვის.

იოანე რუფუსის ცნობით, დედოფალ ევდოკიას იერუსალიმში ჩასვლისას, 443 წლისათვის, პეტრე იბერთან და იოანე ღაზთან ერთად იმყოფებოდნენ იერუსალიმში, იაფოს კარიბჭის მახლობლად, დავითის კოშკთან მათ მიერვე აგებულ იბერთა მონასტერში. ამავე პერიოდში იერუსალიმის სიხლოვეს, ბირ ელ-ქუტაში, უნდა არსებულიყო მეორე მონასტერიც. XX საუკუნის შუა ხანებში არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ ბირ ელ-ქუტაში უცნობი ქართული მონასტრის

ნანგრევები აღმოაჩინა. ნამონასტრალზე სამი ქართული წარწერა აღმოჩნდა – ორი დაახლოებით 430 წლით დათარიღებული, ხოლო ერთიც დაახლოებით 532 წლით. ერთ-ერთ მათგანში (ინახება ფრანცისკანელთა მუზეუმში, იერუსალიმში) იხსენიება IV-V საუკუნეების მიჯნის ცნობილი სამხედრო მოღვაწე ბაკურ იბერიელი. VI საუკუნის წარწერაში კი ნახსენებია აბა ანტონი, VI საუკუნის ცნობილი მოღვაწე, სვიმეონ მესვეტის თანამედროვე. მეცნიერებაში გამოთქმულია სრულიად სამართლიანი მოსაზრება, რომ ბირ ელ-ქუტში სამონასტრო კერა პეტრე იბერიელის პაპის – პალესტინაში მოღვაწე ბაკურ იბერიელის მიერ უნდა იყოს აგებული. შესაძლებელია, მოგვიანებით პეტრე იბერმა განაახლა იგი. ყოველ შემთხვევაში, IV საუკუნის მიწურულს და V საუკუნის I ნახევარში იერუსალიმში უკვე რამდენიმე საეკლესიო ცენტრია, რომელშიც ქართველები მოღვაწეობდნენ. ამავე პერიოდს ეკუთვნის ჯვრის მონასტრის აშენებაც. ისტორიული წყაროების მიხედვით, ჯვრის მონასტრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი ქართლის მეფე მირიანს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა უბოძა. V საუკუნეში, პეტრე იბერის თაოსნობით, ამ ადგილას აიგო მონასტერი, რომელიც „ქართველთა მონასტრის“ სახელით იყო ცნობილი. გვიანდელი ტრადიციით ვახტანგ გორგასალს მატერიალური დახმარება გაუწევია ჯვრის მონასტრის მშენებლობისთვის. ამასთანავე, მისი დაცვისა და ეკონომიკური უზრუნველყოფის მიზნით მონასტრის კუთვნილ ტერიტორიაზე ქართველები ჩაუსახლებია. წმინდა მიწაზე დღემდე არსებობს გადმოცემა სოფელ მალხაში 600 ქრისტიანი ქართველის ჩასახლების შესახებ. დროთა განმავლობაში მალხელი „გურჯები“ გამაჰმადიანდნენ, თუმცა მათ შორის თითქმის ჩვენს დრომდე არსებობდა ტრადიცია მათი ჯვრის მონასტრისადმი ვალდებულების შესახებ. ვახტანგ გორგასალისა და მისი ოჯახის იერუსალიმში მოგზაურობის ისტორიას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, მაგრამ ჯვრის მონასტრის აღშენებაზე არაფერს ამბობს: „ხოლო ვახტანგს ევედრნეს დედა^ა და და^ა მისი, ხუარანძე, რა^ათა წარიტანნეს თანა და ილოცონ იერუსალ^ამს. წარიტანნა და წარვიდეს ვახტანგ მეფე და ხუასრო გზასა ადარზადაგანისასა, და მუნით წარვიდეს ვახტანგ და დედა^ა მისი და და^ა იერუსალ^ამს, და ხუასრო ელოდა ანტიოქიას. შევიდეს და ილოცეს წმიდასა აღდგომასა, და მოილოცნეს ყოველნი წმიდანი ადგილნი და შეევედრნეს წმიდასა აღდგომასა, შეწირეს შესაწირავი დიდი და წარმოვიდეს ანტიოქიას.“ სამწუხაროდ, პალესტინაში დროთა განმავლობაში ბევრი ისეთი არტეფაქტი განადგურდა, რომელშიც მოხსენიებული იყო ქართველთა აქტიური აღმშენებლობითი საქმიანობის შესახებ წმინდა მიწაზე. მათ შორის ვახტანგ გორგასალის მიერ განხორციელებულ ეკლესია-მონასტრების შენებაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ტრაპეზის მარცხნივ იატაკში ჩასმულ იყო მარმარილოს ფილა წარწერით, რომელშიც ვახტანგ გორგასალი მონასტრის აღმშენებლად იხსენიებოდა: „ესე წმიდა^ა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი ჯუარისა^ა მადლითა და შეწევნითა ღმრთისა^ათა მეფესა ვახტანგ გორგასალს აღუშენებია“. ასევე ჯვრის მონასტერში არსებულია მირიან მეფის, ვახტანგ გორგასალისა და ბაგრატ IV-ის პორტრეტები. ალექსანდრე ცაგარელის ცნობით, მათ ასეთი წარწერა ახლდათ: „ქ. მირიან მეფესა უბოძა კონსტანტინე ბერძენთა მეფემან ესე ჯუარი[...], მოვიდეს მეფე ვახტანგ

გორგასალი და დაიჭირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯუარისა მონასტერი...~ თავის დროზე, ვახტანგის ფრესკა ნახა ტიმოთე გაბაშვილმაც.

ვახტანგ გორგასლის მიერ იერუსალიმში ჩასვლაზე ცნობა პირველად მის ისტორიკოსთან – ჯუანშერთან ჩნდება. მოგვიანებით ეს აზრი გაიელვებს თამარის ისტორიკოსთან, 'ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი' ავტორთან. მემატიანე წერს: 'ძუელ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაათმადმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხოთესლთა და ვითარ სპანი ვახტანგისნი – წინაშე ვახტანგისა; და ვითარ ახლისა დავითისნი წყობასა დავითისთა იერუსალიმს ერთობდეს, აწ – შვილისა მისისა თამარისნი, რომელი დავით წინასწარმეტყუელითგან ოთხმეოცსა ერთობს შვილად ცხებულად.' პირველ ნაწილში ბიბლიურ დავითზე და მის ოცდაჩვიდმეტ 'გმირ მებრძოლზე' საუბარი. ციტატის შემდგომი პერსონაჟი ვახტანგი - ვახტანგ გორგასალია, რომელიც 'ქართლის ცხოვრების' მიხედვით იერუსალიმში იმყოფებოდა, მართალია, მოსალოცად, მაგრამ რატომღაც ერთგან ჯუანშერი მას ათქმევინებს, რომ 'პირველად გამომიღსნია იერუსალიმი, წმიდაა ქალაქი, სადა დგეს ფერაჲნი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი, და მუნ აღასრულა ყოველივე ღმრთისათა სულთა ჩუენთაა.' ამის შემდეგ ისტორიკოსი ახსენებს 'ახლისა დავითის' ჯარებს, ანუ დავით აღმაშენებლისას. როგორც ჩანს, თამარის ისტორიკოსის სურვილია, შამქორის ბრძოლის გადმოცემის წინ მხატვრულად მოუთხროს საქრისტიანოს წინაშე ქართველთა ჩადენილ გმირობებზე, ასეთი კი უპირველესად იერუსალიმისათვის, ქრისტეს საფლავის გამოხსნისათვის ბრძოლაა. იმ დროს, როდესაც იწერებოდა 'ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი,' იერუსალიმი უკვე მუსლიმთა ხელთ იყო და მისი გათავისუფლების პრობლემა კვლავ მწვავედ იდგა ჯვაროსნებისა და, საზოგადოდ, საქრისტიანოს წინაშე. ამდენად, ვახტანგ გორგასლის მიერ იერუსალიმში ყოფნა, თანდათან ლეგენდებით შეიმოსა და საბოლოოდ შეიქმნა აზრი ვახტანგის მიერ იერუსალიმის გათავისუფლების შესახებ.

არაბთა შემოსევბა მნიშვნელოვნად დააზიანა იერუსალიმის ქართული სიძველეები. ამ დროს ჯვრის მონასტერში ღვთისმსახურება შეწყდა, ქართველ ბერ-მონაზონთა რიცხვიც ძლიერ შემცირდა. XI საუკუნის 30-იან წლებში მონასტრის აღდგენა განიზრახა შავშეთ-კლარჯეთიდან იერუსალიმში ჩასულმა ბერმა გიორგი-პროხორემ. მას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს მეფემ ბაგრატ IV-მ და დედამისმა მარიამ დედოფალმა. ამ უკანასკნელს განზრახული ჰქონდა თავად ჩასულიყო და მოელოცა იერუსალიმი, მაგრამ სელჩუკთა შიშით ვერ გაბედა. ჯვრის მონასტრისათვის განკუთვნილი განძი გიორგი მთაწმინდელს გადასცა და სთხოვა, ის წასულიყო წმინდა მიწაზე. სწორედ ამიტომაცაა, რომ მონასტრის ტრადიციით ბაგრატ IV ერთ-ერთ აღმაშენებლად არის მიჩნეული. XIII საუკუნის I ნახევარში სავანე მოინახულა და მატერიალური დახმარება გაუწია უდიდესმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა, რომლის ფრესკა დაცულია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე, წარწერით: „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთველი“. შოთა რუსთაველი იხსენიება ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნშიც.

თურქ-სელჩუკთა შემოსევებისა და ჯვაროსანთა ლაშქრობებისას მონასტერი მნიშვნელოვნად დაზიანდა, თუმცა დავით აღმაშენებელმა იგი აღადგინა და ამ დროიდან, რამდენიმე საუკუნე, ჯვრის მონასტერი ქართველთა უპირველეს სავანეს წარმოადგენდა იერუსალიმში. ჯვრის მონასტრს, ქონების ნაწილი, ჯვაროსნებმა გადასახადების გამო წაართვეს. ვითარება კიდევ უფრო გართულდა სულტან სალაჰ ად-დინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ. ისტორიკოს ბაჰა ად-დინ იბნ შადადის ცნობით, ქართველებს სულტანისთვის მოუთხოვიათ პალესტინაში კუთვნილი სოფლების დაბრუნება. XIII საუკუნის 60-იანი წლების არაბულ საბუთებში საუბარია ჯვრის მონასტრის კუთვნილ ქონებაზე სოფლებში კატამონსა და დაირ კა'კულში. ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა ასევე მამულები სოფლებში - დაირ მუსა და ჯალჯალა. XVII საუკუნის მიწურულს იერუსალიმის პარტიარქმა დოსითეოსმა (1639-1709) მონასტერი მიისაკუთრა და ბერძნულ სავანედ აქცია.

ჯვრის მონასტრის გარდა ქართველები მაცხოვრის საფლავზე ფლობდნენ ეკლესიას და ტაძარში შესასვლელ ერთ-ერთი კარის გასაღებს. დაახლოებით 1316-1317 წლებში გიორგი V ბრწყინვალემ ეგვიპტეში დიპლომატიური მისიით გააგზავნა პიპა ქვენიფნეველი, რომელსაც დაავალა გოლგოთაზე ქართველთა დაკარგული სტატუსი აღდგენა. წყარო მოგვითხრობს: 'ამა ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო, და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქუა პიპა, გზასა ამელთასა მრავლითა ძლუნითა წინაშე ნისრელისა (ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს სულთანის), და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპა წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძლუნე იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად... და წარმოვიდა მასვე გზასა ამლით და მოვიდა წინაშე მეფისა და მიიღო იერლაცი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოვლისა მისისა. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა. ეს დიდი წარმატება იყო. ამავე პერიოდში ქართველებს იერუსალიმში ცხენებზე ამხედრებული შესვლის უფლება ჰქონდათ. 1347 წლის ერთი პილიგრიმული ჩანაწერის მიხედვით, „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევინან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი.“ ოსმალთა პერიოდში ქართველებმა დაკარგეს ყველა უფლება მაცხოვრის საფლავზე.

იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებში არსებობდა სასტუმრო სახლები, ანუ „უცხოთ სადგურნი“, მომლოცველ-პილიგრიმთა მისაღებად. პილიგრიმთა მიერ გაკეთებული წარწერები მრავლადაა წმინდა მიწაზე, მათ შორის გოლგოთაზე. წმინდა მიწაზე ყოველწლიურად იგზავნებოდა მდიდარი შეწირულობა. ხშირად, თავად მონასტრების ბერები ჩამოდიოდნენ სამშობლოში შესაწირის შესაგროვებლად. XV საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად, იერუსალიმის ქართულ მონასტერთა მდგომარეობაც გართულდა. პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეების გამო მატერიალური დახმარება ფაქტობრივად შეწყდა. ერთეული შემთხვევები არ იძლეოდა მძლავრი ქართული

კოლონიების შენარჩუნების საშუალებას. ოსმალთა გაბატონებამ უამრავი ქართული მონასტერი დააცარიელა. სამშობლოსგან მხარდაჭერამოკლებული ქართველი ბერები წმინდა მიწაზე ბერძენმა, სომეხმა და კათოლიკე სამღვდელოებამ შეავიწროვა. არსებული ქონება კი გაიფანტა.

ასეთია სქემატურად ქართველთა წმინდა მიწაზე ყოფნის ისტორია. დღეისათვის ქართველები არ ფლობენ არცერთ ძველ ტაძარს. ფაქტობრივად, 2022 წლის იანვარში იორდანის ხელისუფლების მიერ, მაცხოვრის ნათლობის ადგილზე, მდინარე იორდანესთან დიდი მიწის ნაკვეთის გადმოცემა ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართული სახელმწიფო წმინდა მიწაზე ქონების მფლობელი გახდა.

ჯაბა სამუშია
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორი,
პროფესორი.



პოლონელი პროფესორი სტუმრად თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიის პროფესორი იეჟი ოსტაპჩუკი სტუმრობდა. მან 23 მარტს წაიკითხა მოხსენება - „მართლმადიდებელ ქართველთა ემიგრაცია პოლონეთში, ომებს შორის პერიოდში.“ მომხსენებელმა პოლონეთის არქივებში დაცული დოკუმენტებისა და ილუსტრაციების წარდგენით, აუდიტორიას გააცნო ქართველ ბაგრატიონთა ერთი ოჯახისა და მათი შთამომავლობის ისტორია.

24 მარტს გაიმართა პროფესორ იეჟი ოსტაპჩუკის შეხვედრა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებთან. საუბრის ძირითადი თემა იყო ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიაში მართლმადიდებლური მოძღვრების სწავლების ისტორია, მეთოდოლოგია და მართვის ფორმები. სტუმარმა შეკრებილთ გააცნო, რომ ბევრი სხვა სასულიერო სასწავლებლისგან განსხვავებით, ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიაში მართლმადიდებლური ფაკულტეტის გვერდით არსებობს კათოლიკური და პროტესტანტული ფაკულტეტები. სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს ზოგიერთ დისციპლინაში საერთო ლექციები უტარდებათ. ვარშავის ქრისტიანული თეოლოგიის აკადემიაში წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნის თეოლოგიურ სასწავლებლებთან პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ურთიერთგაცვლის პროგრამა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეული კონფესიების წარმომადგენლები რექტორებად მორიგეობით ინიშნებიან. ამჟამად მთავარ გამოწვევად რჩება მართლმადიდებელ პოლონელთათვის მსახურების მშობლიურ ენაზე წარმართვა, რადგან, მიუხედავად პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა, მსახურება ძველ სლავურ ენაზე აღესრულება. პროფესორმა იეჟი ოსტაპჩუკმა აღნიშნა, რომ დღეს მართლმადიდებელი ღვთისმსახურნი ზოგჯერ სხვა კონფესიების მიერ პოლონურად ნათარგმნ ტექსტებს გამოიყენებენ. ჯერჯერობით პოლონურ ენაზე „ახალი აღთქმის“ ერთი გამოცემა არსებობს.

ასმათ ჯიქია

საღვთისმეტყველო წერილები

აპოკალიფსის (არტიკლის) საღვთისმეტყველო მნიშვნელობის შესახებ

ძველ ბერძნულ ენაში არტიკლი მეტყველების დამხმარე ნაწილია, რომელიც არსებით სახელზე მიუთითებს და მის წინ დაისმის. ამასთან, სეპტუაგინტაში დამოწმებისას ის (არტიკლი), გრამატიკული წესების კვალდაკვალ, ეკლესიის მამათა განმარტებების მიხედვით, სათანადო კონტექსტებში ღრმა თეოლოგიური შინაარსით არის დატვირთული და დოგმატური მნიშვნელობის მოძღვრებას გადმოგვცემს.

აღნიშნულის თაობაზე საყურადღებო განმარტებას გვთავაზობს ეკლესიის დიდი მოძღვარი, წმინდა ათანასე ალექსანდრიელი შრომაში „*ეპისტოლე სერაპიონის მიმართ, თმუსესი ეპისკოპოსისა, მგმობელთა და მეტყველთა წინააღმდეგ, რომ სულიწმინდა ქმნილება არის*“ (ხსენებული მღვდელთმთავრის სახელზე წმინდა ათანასეს ჯამში ოთხი ეპისტოლე აქვს გაგზავნილი (იხ. **PG. t. 26; col. 529 A - 676 C**). ქვემოთ წარმოდგენილი მსჯელობა პირველ ეპისტოლეს ეფუძნება). ალექსანდრიელი მოღვაწე სულიწმინდის ღმერთობის უარყოფელთა არგუმენტებს მიმოიხილავს, რომელთაგან ერთ-ერთი წინასწარმეტყველ ამოსის წიგნის შესაბამის ადგილს ეფუძნება: „*რაგონი შენსა განგებულად ქუხილი და ღაპანება სული და ... შევექმნე ცისკარი და ნისლი და შევიღე სიმაღლესა ქუეყანისასა. უფალი ღმერთი ყოვლისა-მყრობელი - სახელი მისი*“; **შდგ. ბეგბ. დიტი იდის ზღა** στερεων βροντην και κτλζων πνευμα και ... ποιων θρησων και ბმύχλην και επιβαίνων επί τὰ ἕψη τῆς γῆς· κύριος ὁ θεὸς ὁ παντοκράτωρ θύομα αὐτῷ (ამოს. 4.13).

უპირველესად შევნიშნავთ, რომ წმინდა წერილში სულიწმინდის ჰიპოსტასის აღსანიშნავად გამოიყენება სინტაგმური ტერმინი **Πνευμα Ἅγιον**, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც იმავე წერილში მითითებული წყვილიდან მხოლოდ პირველი სიტყვა გვხვდება (ე. ი. გვხვდება **«სული»**, ბერძ. **πνευμα**), გარეშე ტერმინისა **«წმინდა»** (ბერძ. **ἅγιον**). პნევმატომაქების თქმით, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამოსის მოხმობილ წინასწარმეტყველებებში, რომლის თანახმადაც **სული** (ბერძ. **πνευμα**) ქმნილად შეირაცხება (შდრ. **«ღაჰაბადო სული»**).

საქმე ისაა, რომ ბერძნულ ტექსტში გამოყენებულია მოქმედებითი გვარისა და აწმყო დროის მიმღეობა **κτλζων** (მხ. რ.), რომელიც მომდინარეობს ზმნიდან **κτლζω** და ითარგმნება როგორც **«ვაფუძნებ»**, **«ქმნი»** (სწორედ იმავე მნიშვნელობისაა ძველი ქართული **«ღაჰაბადო»**, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მომავლის დროით არის დამოწმებული ის, რაც თავის მხრივ ძველი ბერძნული ტექსტის სათანადო მონაცემით უნდა იყოს განპირობებული). ვინაიდან ბერძნული მიმღეობები ქართულად თარგმნისას, შესაბამისი კონტექსტების გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში ზმნური ფორმით გადმოდის, სეპტუაგინტას ხაზგასმული ნაწილის თანამედროვე ქართული შესატყვისი იქნება: **«ქმნი სულს»** (შდგ. ბეგბ. **κτლζων πνευμα**). ამდენად, რადგანაც ამოსის წინასწარმეტყველების თანახმად, **«სული»** (ბერძ. **πνευμα**) ქმნილებად არის გამოცხადებული, ზოგიერთებმა, არიანული მოძღვრების კვალდაკვალ, ზემოთქმულისებრ, სულიწმინდის ჰიპოსტასის მარადიულობა უარყვეს და არარსებობიდან მყოფობაში შემოყვანილად (დაბადებულად, ე. ი. შექმნილად) მიიჩნიეს **ის**.

აღნიშნულ არგუმენტებს წმინდა ათანასე ალექსანდრიელი სათანადო თეოლოგიური განმარტებით უპასუხებს. კერძოდ, ღირსი მღვდელთმთავრის თანახმად, ტერმინი **«სული»** (ბერძ.

πνεῦμα) წმინდა წერილში მრავალი მნიშვნელობით მოიხმობა, თუმცა კი სულიწმინდაზე საუბრისას ვერსად ვპოვებთ ადგილს მხოლოდ ლიტონ **«სუფად»** იწოდებოდეს **იბი**, ერთი მხრივ, შესაბამისი მითითების გარეშე, როდესაც ყველა შემთხვევაში გარკვეული მსაზღვრელი ახლავს **მას**, მაგალითად, **«სუფი ღვთისა»**, **«სუფი უფლისა»**, **«სუფი მამისა»**, **«სუფი ჩემი»**, **«სუფი ქრისტესი»**, **«სუფი ძისა»**, **«სუფი ძეობილობისა»** და ა. შ. ხოლო იმავე ტერმინის გამოყენებისას მსაზღვრელის გარეშე ბერძნულ ტექსტში დამოწმებული **«სუფის»** (ბერძ. **πνεῦμα**-ს) საღვთისმეტყველო მნიშვნელობას, მეორე მხრივ, შესაბამისი არტიკლის არსებობა თუ არარსებობა გამოკვეთს.

დავაკონკრეტებთ, რომ ბერძნულ ენაში სამი სქესია: **მამრობითი**, **მდედრობითი**, **საშუალო** და თითოეულ მათგანს სათანადო ართრონი მიემართება: მამრობითს **ὁ** (მაგალითად, **ὁ λόγιος**), მდედრობითს - **ἡ** (მაგალითად, **ἡ καὶς**), საშუალოს - **τὸ** (მაგალითად, **τὸ λουτρον**). ვინაიდან ზემოდამოწმებული ტერმინი **«სუფი»** (ბერძ. **πνεῦμα**) საშუალო სქესის არსებითი სახელია, თავის თავად ცხადია, მასთან მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში, უნდა იყოს მოხმობილი არტიკლი **τὸ** (მაგალითად, **τὸ πνεῦμα**).

კვლავ წმინდა ათანასე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკას დავუბრუნდებით. ღირსი მღვდელთმთავრის თანახმად, ამოსის წინასწარმეტყველების ბერძნულენოვან ტექსტში ხაზგასმული სიტყვა, ერთი მხრივ, შესაბამისი მსაზღვრელის, მეორე მხრივ კი არტიკლის გარეშეა წარმოდგენილი (შდრ. **διὸτι ἰδοὺ ἔγωγε στερεῶν βροντὴν καὶ καὶ τὸν πνεῦμα**), რაც გვაფიქრებინებს, რომ მასში (**πνεῦμα**-ში) არა ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი - **სუფიწმინდა** მოიაზრება, არამედ ქმნილებას უნდა მივაკუთვნოთ ის და კონკრეტული სტიქიონის, კერძოდ, ჰაერის მნიშვნელობით აღვიქვათ. აღნიშნულ განმარტებას თავად ბიბლიური მუხლიც ცხადყოფს, რომელშიც, გარდა ხსენებული ტერმინისა, სამი სიტყვა გვხვდება: **„განგაშტკიცო ქუხილი... შევქმენ ცისკარი და ნისლი“**. ცხადია, დამოწმებულ კონტექსტში **«სუფი»** (ე. ი. **ჰაერში**) საუბარი და მის ქმნადობაზე მითითება (შდრ. **„და დაეშადა სუფი“**) სრულ თანხმობაშია საეკლესიო დოგმატებთან, რადგან, კვლავაც შევნიშნავთ, წმინდა ათანასე ალექსანდრიელის თანახმად, სხვა არის წმინდა წერილში გამოყენებული ტერმინი **τὸ πνεῦμα** და სხვა - **πνεῦμα**, რომელთაგან პირველი (ე. ი. **ართრონიანი**) სულიწმინდის ჰიპოსტასის იდუმალებას ცხადყოფს, ხოლო მეორე (ე. ი. **უართრონი**) - ქმნილების შესახებ მოძღვრებას გაგვიმხელს. შესაბამისად, ზემოხსენებულ პირთაგან (პნევმატომაქების მიერ) გამოთქმული მოსაზრება, რომ სულიწმინდა ქმნილება არის, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მართებული, თუკი ამოსის წიგნის ბერძნულ ტექსტში ამოვიკითხავდით ფრაზას: **«καὶ τὸ πνεῦμα»**, მაგრამ ვინაიდან სეპტუაგინტაში ტერმინი **«სუფი»** (ბერძ. **πνεῦμα**) ართრონის გარეშეა დამოწმებული (შდრ. **ბერძ. «καὶ τὸ πνεῦμα»**), აღნიშნული მოვლენა სრულიად უსარგებლოს ხდის სულიწმინდის მგმობელთა მიერ მოშველიებულ არგუმენტაციას (შდრ. **PG. t. 26; col. 536 B - 537 C**).

არტიკლის საღვთისმეტყველო მნიშვნელობის შესახებ საგულისხმო ეგზეგეტიკაა დაცული ესაიას წიგნის წმინდა იოანე ოქროპირისეულ კომენტარებში. კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავარი განმარტავს შემდეგ ბიბლიურ მუხლს (ეს. 7.14): **„აჰა, ქაღწეულმან შეცდოდა-ილოს და შეეს პე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“** (შდრ. **ბერძ. ἰδοὺ ἡ παρθένος ἐν γαστρὶ ἔξει καὶ τέξεται υἱόν, καὶ καλέσει τὸ ὄνομα αὐτοῦ Εμμανουήλ**).

საქმე ისაა, რომ დიდი იუდეველი მოსაგრის მითითებული უწყება ზოგიერთმა აღიქვა არა როგორც მესიანური წინასწარმეტყველება, არამედ ერთ-ერთი რიგითი ცნობა, რომელსაც არანაირი

კავშირი არ გააჩნია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან და, ამდენად, არც იესო ქრისტესთან. აღნიშნული კუთხით გამოთქმული იყო განსხვავებული სახის განმარტებები. მაგალითად, თითქოს ესაია თავისი თანამედროვე ერთ-ერთი ქალის შესახებ საუბრობდა, რომელიც ზემოდამოწმებული სიტყვების წარმოთქმისას გაუთხოვარი იყო და, შესაბამისად, - ქალწული, მაგრამ იგი მალე დაოჯახდა, დაფეხმძიმდა, შვა ძე, რომელსაც ემანუელი უწოდა. სხვანი მიიჩნევდნენ, რომ «ქალწულისაგან შობილში» იუდეველი მეფის - აქაზის ძე, ეზეკია, მოიაზრებოდა; მავანთა თქმით, წინასწარმეტყველი ესაია საკუთარი ძის დაბადების თაობაზე საუბრობდა და ა. შ.

წმინდა იოანე ოქროპირის თანახმად, ესაიას სიტყვები ქალწულს რომ არ გულისხმობდეს, არც რამ ნიშანი იქნებოდა ამაში. ნიშანი მოვლენათა საერთო რიგისგან უნდა სხვაობდეს და ბუნებრივ კანონებს ისე აღემატებოდეს, რომ ყოველი მხილველი თუ მსმენელი ამჩნევდეს ამას. კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავრის მიხედვით, ასეა აქაც, რადგან საუბარი ჩვეულებრივ, ბუნებისეული წესისამებრ მშობიარე დედაკაცს რომ შეჰხებოდა, რატომ უნდა დაესახელებინა ესაიას ეს, როგორც ნიშანი?! სწორედ ამ მიზეზით წინასწარმეტყველი იმას კი არ ამბობს: «აჰა, ქალწული (παρθένος) მუცლადიღებს», ა რ ა მ ე დ - «აჰა, ქალწული (ή παρθένος) მუცლადიღებს».

დავაკონკრეტებთ, რომ ღირსი იოანეს თანახმად, ესაიას წიგნის ბერძნულენოვან ტექსტში ტერმინი «ქალწული» წარმოდგენილია ართრონიტურთ (შდრ. ή παρθένος) და არა არტიკლის გარეშე (შდრ. παρθένος), რაც, თავის მხრივ, ღრმა საღვთისმეტყველო მნიშვნელობას დაიტევს და აღნიშნული ტერმინი განსაკუთრებული, ერთადერთი ადამიანის - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მასთან დაკავშირებული სასწაულებრივი მუცლადღების იდუმალებას გაამხელს. კონსტანტინოპოლელი წმინდანის მიხედვით, ზემოთქმულის ჭეშმარიტებას სახარებაც ადასტურებს. კერძოდ, როდესაც იუდეველებმა შუამავლები მიავლინეს იოანესთან სათქმელად: «*ეინ ხარ შენ?*». არ უკითხავთ: «*შენ ხარ ქრისტე (Χριστός)?*»; ა რ ა მ ე დ - «*შენ ხარ ὁ Χριστός?*» (ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ პირველ შემთხვევაში ტერმინი «ქრისტე» არტიკლის გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო მეორე ციტატაში - არტიკლიტურთ).

საქმე ისაა, რომ ტერმინი «ქრისტე» (ბ ე რ ძ . *χριστός*) ძველი აღთქმის ეპოქაში სამი კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდა: *მეფეებს, მღვდელთმთავრებსა და წინასწარმეტყველებს*. შესაბამისად, ვინაიდან იოანე წინამორბედი, იმავდროულად, *წინასწარმეტყველია*, ხსენებული სიტყვა («ქრისტე», ბ ე რ ძ . *χριστός*) მასაც მიემართება, თუმცა კი შეკითხვაზე უარით უპასუხებს, რადგან რჯულისმომდვართაგან წარგზავნილნი, სახარების ბერძნულ ტექსტში დამოწმებული ტერმინოლოგიის კვალობაზე, ლიტონი წინასწარმეტყველით კი არ ინტერესდებიან, არამედ სურთ გაიგონ, იოანე ხომ არ არის ის მესია, ვისაც მრავალი საუკუნე ელოდა რჩეული ერი და სწორედ და მხოლოდ *მას* მიეკუთვნება ართრონიანი ტერმინი ὁ Χριστός («ცხებული იგი»).

ღირსი მღვდელთმთავარი სახარებაში გაჟღერებული მეორე შეკითხვაზეც მიგვითითებს და ბრძანებს, რომ მივლენილუბს იოანესათვის - «*წინასწარმეტყველი (προφήτης) ხარო?*» - კ ი ა რ უ კ ი თ ხ ა ვ თ , ა რ ა მ ე დ - «*შენ ხარ ὁ προφήτης?*».

მოცემულ შემთხვევაშიც იგივე ვითარებაა: წინამორბედად წოდებული იოანე, ამასთან, ზემოთქმულისებრ, *წინასწარმეტყველიცაა*, თუმცა კვლავ უარით უპასუხებს შემკითხველებს, რადგან იუდეველი იერარქების მიერ გაგზავნილი ადამიანები იმ ერთადერთი წინასწარმეტყველით ინტერესდებიან, რომლის შესახებაც იუწყებოდა რჯულმდებელი მოსე: «*წინასწარმეტყველი ებო*

აღგიდგინოს შენ უფალომან ღმერთმან შენმან კმათაგანვე შენთა, ვითარცა-ესე მე, მისი ისმინეთ“ (მეორე რჯ. 18.15) და მხოლოდ და სწორედ მას მიემაართება წინმსწრებ ართრონთან ერთად სახარებაში და მოწმებულ ტერმინი **ὁ πριφήτης** (*«წინასწარმეტყველი იგი»*), მაშინ როდესაც არტიკლის გარეშე **πριφήτης** (*«წინასწარმეტყველი»*) იოანეს არის.

წმინდა იოანე ოქროპირი მოხმობილი მსჯელობის დასტურად იოანეს სახარების დასაწყის ნაწილზე მიუთითებს, რომელშიც ვკითხულობთ: *«პირველითგან იყო სიტყვა»* (**ὁ λόγος**) და არა - *«პირველითგან იყო სიტყვა (λόγος)»*. წარმოდგენილი განხილვა სრულად განიცრცობა იმავე სახარების პირველ მუხლზე, რადგან მასში სამგზის არის გამოყენებული ტერმინი *«სიტყვა»* (ბერძ. **λόγος**), სამივე მე ღმერთს მიემართება და ბერძნულ ტექსტში სამივე მათგანი შესაბამისი არტიკლით არის დამოწმებული. მეტი თვალსაჩინოებისათვის მითითებული სახარების ქართულ და ბერძნულ ციტატებს წარმოვადგენთ: *„პირველითგან იყო სიტყვაჲ, და სიტყვაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვაჲ იგი“*; შდგ. ზეგა. Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος, καὶ ὁ λόγος ἦν πρὸς τὸν θεόν, καὶ θεὸς ἦν ὁ λόγος (იოან. 1.1).

როგორც დამოწმებული მუხლი ცხადყოფს, სამგზის მოხმობილ ტერმინს *«სიტყვა»* (ბერძ. **λόγος**) სათანადო ართრონი უსწრებს წინ, რითაც წარმოჩნდება, რომ საუბარია არა ხრწნად, ჰაერში გაზნევად კაცობრივ სიტყვაზე, არამედ *«ლოგოსად»* წოდებული მარადიული და დაუსაბამო ჰიპოსტასის - ძის (საღმრთო ლოგოსის) შესახებ.

კონსტანტინოპოლელი მღვდელთმთავრის თანახმად, მსგავსი ვითარებაა ესაიასთანაც და ქალწულისადმი მიკუთვნებული წინმსწრები არტიკლით (შდრ. **ὁ παρθένος**) ერთადერთი და განსაკუთრებული მოვლენის - ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მარადქალწულის მიერ ღვთაებრივი ყრმის მუცლადღების იდუმალეზა ცხადდება (შდრ. **PG. t. 56; col. 84**).

წმინდა იოანე ოქროპირი მსჯელობას განაგრძობს. მისი თქმით, ძველი აღთქმის წიგნებში გამორჩეულ მესიანურ წინასწარმეტყველებას ესაია, იმავდროულად, წაუმძღვარებს ნაწილაკს *«აჰა»* (შდრ. *„აჰა ქალწულომან მეტყადა-იღოს...“*; ბერძ. **ὁ παρθένος ἔν γαστρὶ ἔξει...**), რადგან იგი მომავალში განსახორციელებელ მოვლენას აწმყოში ხედავს და ღვთისაგან გაცხადებულის სრული რწმუნება აქვს. ღირსი მღვდელთმთავრის თანახმად, შესაძლოა, ვინმემ იკითხოს: რატომ არ აღნიშნა ესაიამ, რომ ქალწულისაგან შობა სულიწმინდის ძალით მოხდება? და იქვე უპასუხებს: წარმოთქმული სიტყვები წინასწარმეტყველება იყო. ამიტომაც მსმენელის უგულისხმოების გამო საჭიროება მოითხოვდა, მოძღვრება საიდუმლოდ დარჩენილიყო, რომ ამ ადამიანებს, გაიგებდნენ რა ყოველივეს, წიგნები ცეცხლში არ დაეწვათ. მრავალი მაგალითი ვიცით, როგორ დაუნდობლად ექცეოდნენ წინასწარმეტყველებს, მით უმეტეს, უდიერად მოეპყრობოდნენ მათ ნაწერებს. აღნიშნულის ჭეშმარიტებაში მარტივად დავრწმუნდებით, როდესაც იერემიას წიგნს გავეცნობით. იქ აღწერილია, როგორ დააქუცმაცა და ცეცხლს შეუკეთა იუდეველმა მეფემ წინასწარმეტყველის მიერ დაწერილი წერილი [იერემ. 36.23]: *„და იყო, რაჟამს აღმოიკითხის იუდი სამი კეფი ანუ ოთხი, მოჰხიის მან სახეველითა მით შწიგნობრისაჲთა და შთააგდის ცეცხლსა, რომელ იყო ბრძმელთა მათ ზედა, ვიდრე მო-არა-აკლდა წიგნსა მას ცეცხლსა მას შინა კერაკათას“* (შდრ. **PG. t. 56; col. 84**).

დავუბრუნდებით მთავარ თემას და აღვნიშნავთ, რომ წმინდა ათანასე ალექსანდრიელისა და წმინდა იოანე ოქროპირის ზემოდამოწმებულ ეგზეგეტიკას მსგავსადვე ეხმიანება ღირსი იოანე დამასკელი და ართრონის საღვთისმეტყველო შინაარსის განმარტებას გვთავაზობს. კერძოდ, ერთ-ერთ ანტინესტორიანულ ტრაქტატში, რომელიც თარგმნა და დოგმატიკონში შეიტანა წმინდა

არსენ იყალთოელმა, დამასკელი ოქრომესიცივე გვაუწყებს: „ქალწულისაგანი ქე ჰკითხვიდა მოწაფეთა ოჯსთა მეტყუელი: «ვის მიტყუან მე კაცნი, ყოფად პესა კაცისასა» (მათ. 16.13). და სხუთაგან უკუე სხვსა თქუმასა და ეზთად წინაღსწარმეტყუელთაგან განჩინებასა აზმითაულგელმან ვითარცა აზტეშპაბიტების მეტყუელთამან კუალად ჰკითხა: «ხოლო თქუენ უფროჲს სხუათა მეცნიერთა ვინ გგონიე მე?» (მათ. 16.15). მაშინ ყოვლად ზნეული პეტრე, თხემი მოციქულთა მწუერგალობისად, აზა შიშულისა, აზცა უკოზცოდსა სიტყვსა მხილველი, აზცა ლიტონისა და ღმერთშემოსილისა კაცისად, აზამედ მისა ღმერთისა და ბუნებითისა ღმერთისად და ბუნებით განკაცებულისად და ღმერთად და კაცად მყოფისა ეზთისა ქრისტესი: «**შენ ხარ უფალი ქრისტე**» - ეტყოდა - «**ქე ღმერთისა ცხოველისად**» (მათ. 16.16). **ღა არა თქუა, თუ «შენ ხარ ქრისტე», თუნძირ ართრონისა, არამედ «უშალი ქრისტე»** მოსალოდეელი იგი წინაღსწარმეტყუელებული და აზა ვიდრემო აქამდე ხოლო დადგა, აზამედ ზედა დაჰზთო: «**უფალი ქე ღმერთისა ცხოველისად**. **არა თქუა ქე, არამედ უშალი ქე, მხოლოდშობილი ეზთი, პიზველ საუკუნეთად**“ (ანტინესტორიანული ტრაქტატები არსენ ვაჩეს მის „დოგმატიკონში“, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ა. ჩანტლაძემ, თბილისი, 1997, „*მისივე მამისა იოვანე ხუცისა ღამასკეგლისა ოქრონექტარისად სიტყუად დასამკობელოდ ნესტორიანთად*“, გვ. 39).

ღირსი იოანეს თანახმად, მაცხოვრის შეკითხვაზე პეტრე მოციქულის მიერ გაცემულ პასუხში წარმოჩენილია, რომ სწორედ იესო ქრისტეა ის მესია, ვისაც საუკუნეები მოელოდა კაცობრიობა, რასაც მათეს სახარების ბერძნულენოვანი ტექსტი ამოწმებს. კერძოდ, მოციქულთა თავად წოდებულის აღმსარებლობით სიტყვებს, - «**შენ ხარ უფალი ქრისტე, ქე ღმერთისა ცხოველისად**», - დამასკელი მოსაგრე ორად განყოფს (შდრ. «**შენ ხარ უფალი ქრისტე**» და «**შენ ხარ... ქე ღმერთისა ცხოველისად**»). საქმე ისაა, რომ მათში დამოწმებულია ტერმინები: «**ქრისტე**» და «**ქე**» და ორიგინალში ორივეს წინმსწრებად დაესმის მამრობითი სქესის შესაბამისი არტიკლი **ὁ** (შდრ. «**Σὺ εἶ ὁ Χριστός**» და «**Σὺ εἶ... ὁ υἱὸς τοῦ θείου τοῦ ζῶντος**»), რითაც, ზემოთქმულისებრ, ხაზგასმულია, რომ ყოვლადწმინდა მარიამისაგან შობილი არის ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებებში ნაქადაგები ადამის მოდგმის მესია-მხსნელი. სხვა მხრივ, თუკი ბერძნულ ტექსტში მითითებული ტერმინები ართრონის გარეშე იქნებოდა წარმოდგენილი (მაგალითად, «**Σὺ εἶ Χριστός**» და «**Σὺ εἶ... υἱὸς τοῦ θείου τοῦ ζῶντος**»), ასეთი გამოთქმები არა იესო ქრისტეს (განკაცებული ღმერთის) იდუმალებას გამოაჩენდა, არამედ ჩვეულებრივი ადამიანის თაობაზე გადმოგვცემდა სწავლებას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია წმინდა იოანეს შრომის ქართულად თარგმნისას წმინდა არსენ იყალთოელის მიერ გამოყენებული საღვთისმეტყველო ხერხი, რითაც დიდმა დოგმატიკოსმა მოძღვარმა ბერძნული ტექსტის თეოლოგიური შინაარსი დააკონკრეტა მკითხველის წინაშე. საქმე ისაა, რომ ქართულ ენაში სქესის და ართრონის არარსებობის გამო შეუძლებელი იყო დამასკელი მამის ანტინესტორიანულ ტრაქტატში არტიკლით გადმოცემული დოგმატური სწავლების სრულფასოვანი თარგმანი, რაც, თავის მხრივ, მსგავსი საკითხების განხილვისას, დიდ სირთულესა და გაუგებრობას უქადდა მკითხველს. აღნიშნული მიზეზით იყალთოელმა მოღვაწემ ღირსი იოანეს ორიგინალურ შრომაში ციტირებული ბერძნულენოვანი სახარების სათანადო მუხლი, რომელშიც არტიკლზეა ხაზგასმად, შესაბამისი ტერმინის გამოყენებით გადმოსცა. კერძოდ, პეტრე მოციქულის პასუხი, - «**Σὺ εἶ ὁ Χριστός**», - ხსენებულმა მოსაგრემ ქართულად ასე გადმოიღო: «**შენ ხარ უშალი ქრისტე**» და ბერძნული **ὁ** ართრონი ჩაანაცვლა სიტყვით «**უფალი**» (ბეგბ. **ὁ Χριστός**, შდრ. ქაზთ. «**უფალი ქრისტე**»). იგივე მოიმოქმედა მეორე შემთხვევაშიც და სახარებისეული ციტატა, - «**Σὺ εἶ... ὁ υἱὸς τοῦ θείου τοῦ ζῶντος**», - ამგვარი სახით თარგმნა: «**შენ ხარ... უშალი ქე ღმერთისა ცხოველისად**»

(**ბეკა. ბ. სიბე; შდგ. ქაბა. «უფალო ძე»**), რითაც იესო ქრისტეს შესახებ ბერძნულ ტექსტში დაცული დოგმატური სწავლების საღვთისმეტყველო შინაარსი წარმოაჩინა. ამასთან, ღირსმა არსენმა, მეორე მხრივ, არც ორიგინალში გადმოცემული განმარტების გარეშე დაუტევა ქართველი მკითხველი, რაჟამს საკუთრივ დამასკელისეულ ციტატაში არტიკლთან დაკავშირებით დაცული მოძღვრება მსგავსადვე ასახა მშობლიურ ენაზე (შდრ. **«და არა თქუა, თუ „შენ ხარ ქრისტე“, თუნდმ არმოწმისა, არამედ „უფალო ქრისტე“**»).

წმინდა იოანე დამასკელი იმავე ანტინესტორიანულ ტრაქტატში არტიკლის თეოლოგიური დანიშნულების შესახებ განხილვას სხვა ადგილზეც გვთავაზობს და თავისთავად ზემომოხმობილ ეგზეგეტიკას ეხმიანება. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: „იოვანე წამა მისოჲს და ღაღად-ყო მეტყუელმან... : **«მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ ესე არს უფალო ძე ღმრთისაჲ»** (იოან. I.34). აწ უკუე თქუმაჲ ამისი, ვითარმედ **უფალო ძე ღმრთისაჲ და არა თუნიერ ართრონისა თქუმაჲ ესრეთ, ვითარმედ ძე ღმრთისაჲ წარმოაჩენს თუთ მას ერთსა ძესა ღმრთისასა მხოლოდშობილსა**“ (Ibid. გვ. 54-55).

დამასკელი მამის წარმოდგენილი მოძღვრების თანახმად, იოანეს სახარებაში მაცხოვარზე საუბრისას გამოყენებულია სინტაგმა **«ძე ღმრთისა»** (შდრ. იოან. I.34: **«მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ ესე არს უფალო ძე ღმრთისაჲ»**); თუმცა მასში რომ სწორედ ერთი და მხოლოდ, ე. ი. ბუნებითი ძე მოიაზრება მამისა, ამის ცხადმყოფელია ბერძნულ ტექსტში ხსენებული სინტაგმური წყვილის წინმსწრებად მოხმობილი არტიკლი **ბ** (შდრ. **καὶ ὁ μὲν ἄρτι καὶ μεμαρτυρηκα ὅτι οὗτός ἐστιν ὁ υἱὸς τοῦ Θεοῦ**), რითაც მესიის ბუნებითი ღმერთობაა ნაჩვენები. სხვა მხრივ იგივე გამოთქმა **ართრონის გარეშე** (ე. ი. სინტაგმა **«ძე ღმრთისა»**, **ბეკა. სიბე და თონ მთონ**) სათნო ადამიანებსაც მიემართება, რადგან საეკლესიო სწავლების თანახმად, საუფლო მცნებათა დამმარხველი ყოველი მოსაგრე ძე არის ღვთისა (თუმცა კი არა ბუნებითი, არამედ – მადლისმიერი). აღნიშნულის დასტურად ამჯერად მხოლოდ ერთი წყაროთი შემოვიფარგლებით და დავიმოწმებთ იმავე ღირსი არსენ იყალთოელის მიერ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის ბოლოს დართულ ანდერძს, რომელშიც ხსენებული მოღვაწე წმინდა მეფეს, დავით აღმაშენებელს, განსაკუთრებულ ხოტბას შეასხამს და მისი ღირსებების წარმოსაჩენად მრავალ შედარებას გვთავაზობს, რომელთაგან ერთ-ერთი ზემოხსენებულ საკითხს ეხმიანება: **„კაცთმოყვარე ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“** (დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ; თბილისი, 1975, გვ. 557).

დამოწმებული სიტყვების თანახმად, მეფე დავითი თავისი კაცთმოყვარეობით ისე გამოირჩევა, როგორც იესო ქრისტე, რომელიც ბუნებითი ღმერთი არის მადლით ღმერთქმნულთა, ე. ი. მის მოძღვრებას შედგომილ და განღმრთობის გზაზე მდგომ ადამიანთა შორის და სწორედ აღნიშნული მდგომარეობაა ძეობილობა ღმრთისა – მადლისმიერი ღმერთობა (წარმოდგენილი შედარება, თავის თავად ცხადია, პირობითია და ავტორი (წმინდა არსენი) ყველა დროის დიდი ქართველი მონარქის დოქსოლოგიას ისახავს მიზნად).

საქმე ისაა, რომ იყალთოელი მოსაგრის დამოწმებული ციტატა, მასში გადმოცემული შინაარსის კვალობაზე, პირობითად ორად უნდა გაიყოს: (1) **„კაცთმოყვარე ვითარცა ჩემი იესუ ღმერთთა შორის“** და (2) **„ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნულთა შორის“**. წინადადების პირველ ნაწილში გამოყენებული ტერმინი **„ღმერთი“** (შდრ. **„ღმერთთა შორის“**) ღვთის ნების შემსრულებელ ადამიანებს მიემართება, ე. ი. იესო ქრისტე კაცთმოყვარე ღმერთია, რომელიც უზენაესის ნების აღმსრულებელ და აღნიშნული მიზეზით **„ღმერთებად“** წოდებულ კაცთა შორის მეუფებს. რაც

შეეხება ციტატის მეორე ნაწილს, ის სწორედ წინმსწრებ წინადადებაში გადმოცემული სწავლების განმარტებას გვთავაზობს. კერძოდ, არსენ იყალთოელი გვიკონკრეტებს, რომ წმინდა დავით აღმაშენებელთან შესადარებლად მის მიერ დასახელებული იესო ქრისტე ბუნებითი ღმერთია (შდრ. „ჩემი იესო ... ბუნებით ღმერთი“), ხოლო ზეგარდამო ძალით განდმრთობილ ადამიანებს «ღმერთები» ეწოდებათ და სწორედ ისინი არიან «**მადლით (ე. ი. საუფლო ბოძებით, მინიჭებით) ღმერთქმნილნი**», რომელთა შორისაც მოიაზრება, რა თქმა უნდა, თავად მეფე დავითიც.

საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ მართალია, ძველი აღთქმის წიგნებსა და სახარებებში გადმოცემული სწავლებანი ებრაულ-არამეულ ენებზე იყო წარმოთქმული, თუმცა, ერთი მხრივ, ეკლესიის მიერ კანონიკურად აღიარებული ბერძნული თარგმანი - სეპტუაგინტა და, მეორე მხრივ, იმავე ენაზე შესრულებული ახალი აღთქმის წიგნები (მათეს სახარების გამოკლებით, რომელიც ხსენებულმა მახარებელმა, პატრისტიკული წყაროების თანახმად, ჯერ არამეულად, მოგვიანებით კი ბერძნულად დაწერა) ზედმიწევნითი სიზუსტით სწორედ იმ საღვთისმეტყველო შინაარსს ასახავენ, რაც პირველწყაროებში იყო დაცული.

დასასრულს, ზემოთქმულს შევაჯამებთ და აღვნიშნავთ, რომ ბერძნულენოვან წმინდა წერილში, გარკვეული საღვთისმეტყველო კონტექსტების გათვალისწინებით, სათანადო არტიკლების გამოყენება ან გამოუყენებლობა, მამათა ეგზეგეტიკის თანახმად, გვაძლევს შესაძლებლობას, გავერკვეთ, რა მოიაზრება შესაბამის ფრაზებში - ჩვეულებრივი მოვლენა თუ განსაკუთრებული, ერთადერთი, განუმეორებელი და გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც ღვთისაგან შექმნილ სამყაროში არსებულ ბუნებრივ წესრიგს ყოვლითურთ აღემატება და საზოგადო რიგისაგან შეუდარებლად განსხვავდება. ამასთან, იგივე ართრონი რიგ შემთხვევაში, ერთი ხმრივ, თანასწორ ინდივიდთა შორის კონკრეტული პირის უპირატესობას წარმოაჩენს, ხოლო მეორე მხრივ, ბიბლიური წიგნების ავტორთა მიერ ნაგულისხმევ საღმრთო ჰიპოსტასთა იდუმალებას გაამხელს.

ირაკლი ორჟონია

პატრიარქის ხელი

25, ქრისტეშობა, უწმინდესის აღსაყდრების დღე.

თითქოს ადრეული გაზაფხულის კაშკაშა მზეში დგას `სამება` – ზეცისკენ ატყორცნილი, წალმისფერი ნათალი ქვების `შეკონება`, ქართული ხუროთმოძღვრების ხილული სასწაული.

საგალობელი ჩვილი ბავშვივით ნებივრობს თაღების უბეში.

მიჰყვები უწმინდესის ხმის ანკარა მდინარებას, უძღვებ საც და მიუსაფარსაც იმედით რომ აღავსებს.

დამთავრდა წირვა და პატრიარქის ქადაგება.

როგორც დათქმული გვექონდა, მეუფე ანდრიას შევხვდი – მინდა უწმინდესს ჩემი ლექსების ერთტომეული გადავცე, სადაც მისდამი მიძღვნილი ლექსიც არის დაბეჭდილი.

მალე, მეუფის ძმასთან, გია გვაზავასა და აფხაზეთის კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, კანკელის მიღმა, ხალმრავალ საკურთხეველში აღმოვჩნდი.

თვალებით პატრიარქი მოვძებნე.

საზეიმოდ აღარ ემოსა, თალხი, მოკრძალებული ანაფორით, თავსარქმელის გარეშე, ხის სავარძელში იყო ჩაბრძანებული.

კურთხევის მსურველთა გრძელ რიგს შევუერთდი.

დადგა ჩემი ჯერიც.

დავიჩოქე.

პატრიარქის მარჯვენას ვეამბორე:

`მაკურთხეთ უწმინდესო!`

ოდნავ ირხევიან პატრიარქის ტუჩები და მისი თვალების შუქში ვეხვევი.

პატრიარქის ხელი – თბილი, რბილი, მიმტევებელი, თითქოს თვინიერი და დამყოლი...

თითქოს-მეთქი!

ხელი – ქართული ეკლესიის (და არა მარტო ეკლესიის!) საჭეთმპყრობელისა, დიდ ჭირთამთმენი, მრავალ ბრძოლათა და განსაცდელთა გადამტანი.

-კრებულში თქვენდამი მიძღვნილი ლექსი აქვს, - ეუბნება მეუფე ანდრია.

`მართლა` – გაელიმა პატრიარქს და ერთტომეული ჩამომართვა.

მივეხმარე, წიგნი წინასწარ ჩანიშნულ გვერდზე გადავუშაღე. კითხულობს.

ტუჩები უთრთის და მზერა სტრიქონიდან სტრიქონზე გადააქვს.

ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

წიგნი დახურა.

თავისი განუმეორებელი ღიმლით მადლობის ნიშნად თავი ოდნავ დამიქნია და ხელი ისევ თავზე დამადო.

ხელი – გაუტეხელი, მოუღუნავი მარჯვენა პირველი მეციხოვნისა!

მასთან შეხების ბედნიერება – ჩემი ლამაზი სიზმრის ტოლფასი ცხადი!

ღმერთო, საქართველოს არ მოუშალო ამ ხელის იმედი.

კეთილად ამიხდინე დღევანდელი ცხად-სიზმარი, მეც და ჩემს სამშობლოსაც!

იდგა 25 დეკემბერი, 2009 წლისა.

ვანო ჩხიკვაძე

საქართველო აღსდგა ილია მეორეს

ერთხელ კიდევ გამაგონე
საუკუნო აღთქმა:
_ ქრისტე აღსდგა!
_ ქრისტე აღსდგა!
_ საქართველო აღსდგა!

სადაც წაველ, ყველგან შენი
იმედის ხმა დამხვდა:
_ ქრისტე აღსდგა!
ქრისტე აღსდგა!
საქართველო აღსდგა!

ჭეშმარიტად!
ჭეშმარიტად!
იმერსა და ამერს,
შემოდნა ტანზე უღვთოდ
დაფლეთილი ღამე.

ჩამოწმინდა სისხლმა ლიბრი
დაბრმავებულ თვალებს...
გვიან მივხვდით, სალოცავი
ხატი შეგვიცვალეს.

ღმერთო,
ღმერთო,
შენ მოჰკითხე
იმის გვარს და ჯილაგს,
ვინც “გვაჩუქა” გაზაფხულის
სისხლიანი დილა...

ყელზე დანა მომბჯენია
მე სხვათა და სხვათა.
ჩქარა, კიდევ გამაგონე:
საქართველო აღსდგა!

ჩქარა, თორემ ჩამაჩოქებს
დარბეული გული.
საფლავში ნუ ჩამაყოლებ
უკანასკნელ სურვილს,

გააგონე მტერ _ მოყვარეს,
მოსკოვსა და ბაღდადს:
_ ქრისტე აღსდგა!
(ჭეშმარიტად)!

ზარები ილია მეორეს

შეფრთხილდება
მხარზე მტრედი ნათლით მოსილი,
თითქოს მთელდება
ყველა ჩვენი ტკივილის ზზარი.
ხელთ რომ გიპყრიათ,
ეგ საბელი,
ავგაროზივით
ყელზე ჰკიდია
საქართველოს სიფხიზლის ზარებს.

ჩვენი სამშობლოს
ციხეებზე ცეცხლის დამნთებო,
ბრმა საუკუნე,
შხამიანი,
მოდის, თავნებობს.
არ დაგვაფიწყოთ,
ეს ქვეყანა ვისი ხვედრია,
ემშაკს საბელი არ დაანებოთ.

რადგან აქამდე
ვერ გაღუნეს ეგ ხერხემალი,
უნდა დასრულდეს
ბედისწერის მწარე იგავი –
ეს ცა, ეს მიწა,
ეს უკვდავი სულის მწვერვალი,
წმინდა წიგნია
ჯერ ბოლომდე წაუკითხავი.

თუმცა იმედი
სისხლში ვხარშეთ, ცრემლში მოვზილეთ,
მაინც კორტნიან
კარმორღვეულ ოთხივე მხარეს.
თქვენ რომ გიპყრიათ,
ეგ საბელი,
ავგაროზივით,
ყელზე ჰკიდია
დადუმებულ სიფხიზლის ზარებს.

თეთრი მხედარი
თეთრ იორღას შემოაგელვებს,
შემოუძღვება
წამებულთა უკვდავ მხედრიონს.
ჰო, უწმინდესო,
ჩამოჰკარით მძლავრად საბელი,
ზარებს თვლელმა რომ არ მოერიოთ.

2011

2014, 4 იანვარი

ილია მეორეს

ესეც ოთხმოცი და კიდევ ერთი _
რომ მომკა უთუოდ უნდა თესო,
_ წინ გვიძევს დღეები უკეთესი! _
უფალმა ინებოს, უწმინდესო!

ერი ცხოვარივით მოგენდობათ _
ეს დღე ხომ სჯობია უწინდელსო,
ქვეყნის ბედითა და უბედობით
ძალიან დაღლილო უწმინდესო.

ყოველმხრივ ავსული გვეძალება,
თუკი ხარ, მახვილიც უნდა ლესო.
თქვენს ფერხთით მდაბლდება მწვერვალები,
ზეცა ახლოვდება, უწმინდესო!

„ძე ქუხილისა“

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთ „კლიტე დავითისი“-ს რედაქციამ დაფუძნებიდანვე ტრადიციად დაამკვიდრა სასწავლებელში ერის გამოჩენილ მოღვაწეთა მოწვევა.

ერთი ასეთი გამორჩეული დღე იყო 2005 წლის 8 დეკემბერი, როცა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავად უმასპინძლა ჩვენი დროის გამორჩეულ პოეტს, მუხრან მაჭავარიანს.

შეხვედრის დასასრულს, მას შემდეგ რაც ბატონმა მუხრანმა შეკრებილთ თავისი ლექსები წაუკითხა, კათოლიკოს-პატრიარქმა ასე მიმართა სტუმარს: „მართლაც საოცარი დღეა, დაუვიწყარი დღეა ჩემთვის. თქვენი გამოსვლის დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები; მან უწოდა თავის ორ მოწაფეს: „ძენო ქუხილისანი!“. თქვენ შეგშვენიით ეს - „ძეო ქუხილისაო!“ მართლაც, თქვენ გამოიარეთ საოცარი გზა და თქვენ დგახართ მწვერვალზე, საიდანაც ელაპარაკებით ჩვენს ხალხს. თქვენი პოეზია თქვენი გულიდან კი არა - ერის გულიდან ამოსულია. და ჩვენ მადლობას გწირავთ“.

თუ რას ნიშნავს ასეთი მრავლისმეტყველი ზეწოდება მკითხველთათვის, მოვიხმობთ განმარტებას ეკლესიის წმინდა მამათაგან:

„წმინდა მარკოზ მახარებელი გვამცნობს: უფალმა იესო ქრისტემ სამოციქულო მოღვაწეობისთვის თორმეტი მოწაფე გამოარჩია, რათა „იყვნენ მის თანა და წარავლინნეს იგინი საქადაგებლად“ (მარკოზი 3, 14).

მოწაფეთა ქრისტესმიერი გამორჩეულობა უფალმა სახელის დარქმევითაც გააცხადა და „დასდვა სახელები: სიმონს - პეტრე, და იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმა იაკობისი; და დასდვა მათ სახელები: ბანერგეს, რომელ არს ძენი ქუხილისანი“ (მარკოზი 3, 16-17).

ეკლესიის წმიდა მამები (ორიგენე, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი) განმარტავენ: უფალმა „ძენი ქუხილისანი“ უწოდა თავის ორ მოწაფეს - იაკობს და იოანეს - ვითარცა დიდებულ მქადაგებელთ და ღვთისმეტყველთ. ორივე ძმის ქადაგება, თურმე, გამოავლენებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი იყო „მოაზროვნე ქუხილი“, „ქუხილი გონიერი“, რომლის ბაგეთაგან ქუხილივით აღმოთქმული ღვთის სიტყვა მსმენელის გულისყურს კეთილად სჭრიდა“.

ვისაც თუნდაც ერთხელ მოუსმენია მუხრან მაჭავარიანისთვის, გაცნობიერებული აქვს, რომ მის ბაგეთაგან ამგვარივე გამორჩეული ძალისხმევით წარმოითქმის „ენა ქართული“, და მუხრანის ლექსის მსმენელსა თუ მკითხველსაც მსგავსი განცდა ეუფლება.

იმ დღის საოცარი შთაბეჭდილება დღესაც დაუვიწყარია მაშინდელ სტუდენტთა თაობისათვის. ამჯერად კი თბილისის სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის ამჟამინდელ სტუდენტებს რედაქცია სთავაზობს შვილის - ივანესადმი კანადაში გაგზავნილ წერილს, რომელშიც თვალნათლივანაა მუხრან მაჭავარიანისაგან წარმოჩენილი დიდი პოეტის მრწამსი.

პოეტ მუხრან მაჭავარიანის წერილი, რომელიც მან გასული საუკუნის 90-იან წლებში თავის ვაჟს კანადაში მისწერა, ნებისმიერი ქართველისთვისაა საყურადღებო:

“ვწუხვარ, რომ თქვენგან (უპირველეს ყოვლისა – შენგან) არ იგრძნობა თანალმობა ჩემდამი... მუხანოს და რატის ელოდება თავიანთი არგვეთი, პატარა ლაშურა, დიდი კაკლის ხე, ჩვენი ჭა... სამშობლო არ დაივიწყო! შვილები ქართველებად დაზარდე!...

დაუკვირდი საკუთარ თავს, კარგად დაუკვირდი – განა არ გრძნობ ყოველმხრივ უპირატესობას ყველა სხვა ერის წარმომადგენელთან შედარებით? არ შეიძლება არ იგრძნო, უკეთეს კარგად დაუკვირდები. და, როგორ გგონია, რა არის ამ გრძნობის საფუძველი? საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონი? დღევანდელი უბადრუკი საქართველო?

არა. შენი ამ უპირატესობის საფუძველი შენივე სისხლია. ის სისხლი, რომელიც ჩქეფდა შენი შორეული წინაპრების ძარღვებში და აწ შენში ჩქეფს. ვინ იყვნენ შენი წინაპრები?!... არ გეგონოს, შენი სისხლის ისტორია დავით აღმაშენებლით, შოთათი, ილიათი, აკაკითი, და ვანიჩკათი (ივანე - მუხრანის მამა. რედ.) იწყებოდეს! შენ იმ ხალხის სისხლი და ხორცი ხარ, რომელიც ფლობდა მთლიან კავკასიას, მცირე აზიას, სირია-პალესტინა-ფინიკიას... ხმელთაშუა ზღვის მთელ აუზს... ქართულმა მოდგმამ პირველმა მოიპოვა და დაამუშავა სპილენძი, რკინა, ფოლადი, ვერცხლი, ოქრო... ქართული მოდგმის წვლილია ვენახი და ღვინო...

ქართველთაგან გაიცნო მსოფლიომ ცხენი და საომარი ეტლი...

მსოფლიო მეცნიერების აღიარებით – არ არსებობს მეორე ენა – ქართულივით მდიდარი. არ არსებობს ანბანი – ქართული ანბანით სრულყოფილი. არავისთვის ისე სისხლხორცეული არაა სჯული ქრისტესი, ვითარცა ქართველებისთვის. ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ეროვნული გახადეს. ბრძოლა საქართველოსთვის – იყო ბრძოლა ქრისტიანობისთვის, თავგანწირვა ქრისტიანობისთვის – თავგანწირვა საქართველოსთვის! ქართველი იყო წმინდა გიორგი კაბადოკიელი, ქართველი იყო ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი)... ბასილი კესარიელი და გრიგოლ ნოსელი...

საქართველო წილხვედრია ღვთისმშობლის. საქართველომ ჩაიბარა კვარტი უფლისა... დედამიწის ზურგზე არცერთ ერს თავის ქვეყანაში (მით უმეტეს თავისი

ქვეყნის გარეთ) იმდენი ტამარი არა აქვს, რამდენიც ქართველთ. ქართული ქრისტიანობა განსხვავებულია ყველა სხვა ერის ქრისტიანობისგან.

ქართული ქრისტიანობა მხედრული ქრისტიანობაა, წმინდა გიორგის წინამძღოლობით. ბევრი იყო სექტა... და არის... ამ ახალი მოდის სექტებში ჩაბმა ყველას მიეტევა, ქართველის გარდა. ქართველთათვის ის ქრისტიანობა, რომელიც გვაქვს, არის არა მარტო სჯული, არამედ მიწა-წყალი საქართველოსი.

ენაა ქართული, ოჯახი ქართული, წინაპართა საფლავებია, აკვნებია ნაშიერთა, და ის ქართველი, ვინც ექვს შეიტანს ჩვენს ამ მამა-პაპისეულ სარწმუნოებაში, ვინც დაუპირისპირდება მას, ვინც კრიტიკულად განეწყობა მისდამი, იგი, (თვითონ შესაძლოა, არც იცის, ისე) უარს ამბობს საკუთარ მამაზე, საკუთარ შვილზე... ერთი სიტყვით, საკუთარ თავზე, ვინაიდან სამშობლოს გარეშე, დედაენის გარეშე, მშობლების გარეშე და მომავლის გარეშე ადამიანი არ არსებობს, როგორც ასეთი! და განა ქრისტე ამას გვიქადაგებს?... ქრისტიანობა არაა მატერიალური რელიგია, როგორც ეს მათ მიაჩნიათ, ქრისტიანობა ღრმადფილოსოფიური რელიგიაა, მისი ჩაწვდომა დიდ ინტელექტუალურ ძალისხმევას და სულიწმინდით აღვსებას საჭიროებს.

ღმერთმა გადაგვარებული დედამიწა პირველად წყლით გაწმინდა, მეორედ განწმენდს ცეცხლით! მეორედ მოსვლა იქნება მართლა სამოთხეში დაბრუნება!

ყურად იღე ღაღადისი შენივე სისხლისა! გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ! წიხლს ნუ ჰკრავ იმ წმინდა ბარძიმს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ივსებოდა შენი სასიქადულო წინაპრების სისხლით!”

ხსოვნა

უკანასკნელ ხანს თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიას ორი ღვაწლმოსილი მეცნიერი გამოაკლდა. წლის დასაწყისში 91 წლის ასაკში გარდაიცვალა ძველი ქართული ფილოლოგიის ცნობილი მკვლევარი, ლიტერატურის ისტორიკოსი, არქეოგრაფი პროფესორი ენრიკო გაბიძაშვილი.

თებერვალში 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მრავალი თაობის პედაგოგი ზურაბ ჭუმბურიძე.



პროფესორი ენრიკო გაბიძაშვილი მის მიერ განვლილი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ისეთივე რუდუნებით ემსახურებოდა ქართულ ფილოლოგიურ სკოლას, როგორც ამას დიდი ათონელი მამები აკეთებდნენ. ძველი ქართული სასულიერო მწერლობის არაერთი დარგის კვლევას დაამჩნია მან ღრმა კვალი და ეს განსვენებულის ნიჭის, ერუდიციის, შემოქმედებითი აზროვნებისა და დიდი შრომის შედეგია.

ბატონმა ენრიკომ თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ცნობილი ქართველი ფილოლოგის, ილია აბულაძის მიერ ახლად დაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიწყო. ილია აბულაძის ხელმძღვანელობით იმხანად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების

კრიტიკულ ტექსტთა სრული აკადემიური გამოცემისათვის. 1965 წელს ამ პროექტის ფარგლებში ენრიკო გაბიძაშვილმა გამოსცა თავისი პირველი მონოგრაფიული ნარკვევი - „ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების სვინაქსარული რედაქცია“.

მკვლევარმა ათწლეულების მანძილზე უამრავი მონოგრაფიული ნაშრომი და სტატია შექმნა ძველი ქართული მწერლობის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით კი ჰომილეთიკასა და კანონიკაში.

1968 წელს ენრიკო გაბიძაშვილმა გამოსცა ქართველ წმინდანთა სვინაქსარული „ცხოვრება-წამებების“ 43 ტექსტი. წიგნი გამოიცა ილია აბულაძის მიერ დაარსებული სერიით - „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. ამ სერიაში შევიდა განსვენებულის კიდევ სამი ნაშრომი: დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრების კრიტიკული ტექსტი; ბიბლიოგრაფია ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა და ლექსიკონი; კათალიკოს ანტონ I-ის მარტიროლოგიური კრებულის („წიგნი მარტირიკა“) კრიტიკული ტექსტი და გამოკვლევა (მიხეილ ქავთარიას თანაავტორობით).

ენრიკო გაბიძაშვილმა 1991 წელს გამოსცა მონოგრაფია „წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში“, რომელშიც თავი მოუყარა ცნობებს წმინდა გიორგის შესახებ ქართულ ორიგინალურ და თარგმნით ლიტერატურაში. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: „წმინდა გიორგი ქართულ ნათარგმნ ლიტერატურაში“ და „ქართული ორიგინალური თხზულებები წმინდა გიორგის შესახებ“.

გასული საუკუნის მიწურულს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ნათარგმნი მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული კრებულების შესწავლისა და გამოცემისათვის. ამ კვლევის ფარგლებში ენრიკო გაბიძაშვილმა შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა თებერვლის მეტაფრასული კრებულის საკითხავები.

ენრიკო გაბიძაშვილი მუშაობდა კანონიკური მწერლობის მიმართულებითაც. ამ დარგში მან შექმნა ორი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელთაგან ერთი ეძღვნება კანონიკური სამართლის დიდ კორპუსს - არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ „დიდ სჯულისკანონს“, მეორე კი - მასზე დართულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერას.

ენრიკო გაბიძაშვილმა შექმნა უმნიშვნელოვანესი კოდიკოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული ექვსტომეული - „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“. ამას მოჰყვა კიდევ ერთი კოდიკოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული ნაშრომი - „ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფია“.

ენრიკო გაბიძაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა ენციკლოპედიურ სფეროშიც. ამ დარგში მისი პირველი ნაშრომია „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის

ენციკლოპედიური ლექსიკონი”, რომელიც ორ თანაავტორთან ერთად შეადგინა. მისი ათობით სტატია შეტანილია როგორც ქართულ, ასევე, უცხოურ ენციკლოპედიებში.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ბატონი ენრიკო გაბიძაშვილი იყო თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობის კონსულტანტი. მისმა ნაშრომებმა თუ მაღალპროფესიონალურმა რჩევებმა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ყველა სფეროში აკადემიისა და სემინარიის არაერთ მაგისტრანტსა თუ დოქტორანტს გაუკვალა გზა საღვთისმეტყველო და ფილოლოგიური კვლევების მიმართულებით. ენრიკო გაბიძაშვილის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ძეგლიც თბილისის სასულიერო აკადემიის ეგიდით გამოიცა.



ზურაბ ჭუმბურიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იყო საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის ასისტენტი, შემდეგ - ამავე კათედრის დოცენტი და პროფესორი, ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე. მან თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მხოლოდ უნივერსიტეტის კედლებით არ შემოფარგლა: მუშაობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, იყო მწერალთა კავშირის წევრი, ლექციებს კითხულობდა თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში.

ზურაბ ჭუმბურიძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. მისი ინტერესის სფეროში თავიდანვე მოექცა ქართველური ენები: "სვანური ენის ლენტეხური კილოს ფონეტიკური

თავისებურებანი" და "მყოფადი ქართველურ ენებში" - მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების თემატებია.

ბატონი ზურაბის ერთ-ერთი ძირითადი საკვლევით თემა ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები იყო. მრავალ ადამიანს გააცნო ბატონმა ზურაბმა ძველი ქართული ხელნაწერები და მათი შემქმნელი ქართული სასულიერო მწერლობის ფუძემდებლები: დიდი საეკლესიო მამები, მოაზროვნეები და მთარგმნელები. ამ სფეროს ნაშრომთა დასახელებაც კი ნათელს ხდის, თუ რას ემსახურებოდა ზურაბ ჭუმბურიძე თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე: "ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები", "სალიტერატურო ენა და მწერლობა"; "რა გქვია შენ?", "ლიტერატურული წერილები", "მადლი დედაენისა", "ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ"...

ზურაბ ჭუმბურიძის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა მის სიცოცხლეშივე: დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, მიენიჭა წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემია, ვაჟა-ფშაველასა და შიო მღვიმელის სახელობის პრემიები. თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ბატონი ზურაბი 2012 წელს წმიდა გიორგის ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

ზურაბ ჭუმბურიძე მის კოლეგებსა და მოსწავლეებს დაამახსოვრდებათ როგორც ღრმად განათლებული, დიდი ცოდნის მატარებელი მეცნიერი და პედაგოგი.